გარიყულობიდან ჩართულობისაკენ

დევნილთა მონაწილეობის უზრუნველყოფა საქართველოს გაკვეთილები

2009 წ.

conciliation resources

გარე ყდა: სოფელ რუხის კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილები გალის რაიონიდან. ისინი 16 წელია ცხოვრობენ ამ შენობაში, რომლის ფანჯრებიდან გალის მინდვრები მოჩანს.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა 4

1. შესავალი 7

1.1 დევნილობა: წარსული, აწმყო და მომავალი 8

2. დევნილობა საქართველოში 13

2.1 დევნილთა რაოდენობა 13
2.2 განცალკევებულობა და გაუცხოება 15
2.3 დაბრუნება გალის რაიონში 16
2.4 პროექტის პოლიტიკური კონტექსტი 17

3. დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში 20

3.1 დევნილთა, როგორც ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის, მონაწილეობა შესაბამისი უწყებების საქმიანობაში 20
3.2 დევნილთა ინდივიდუალური მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში 22

4. პროექტის მიზნები და მიღწევები 25

4.1 პროექტის მოკლე აღწერა 25
4.2 ქსელური მუშაობა 25
4.3 დევნილებთან მუშაობა 27
4.4 მთავრობასთან მუშაობა 28
4.5 ადვოკატირების ჯგუფი 29

5. სპეციფიური საკითხები 32

5.1 ინტეგრაცია 32
5.2 ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობა 34
5.3 კონფლიქტზე მუშაობა 38

6. აგვისტოს ომი 42

6.1 ომის ემოციური გავლენა და მასზე რეაგირება 43

7. დასკვნები 46

მოკლე მიმოხილვა

გასული საუკუნის 90–იანი წლების ქართულ–აფხაზური კონფლიტის შედეგად 200 000-ზე მეტი ეთნიკური ქართველი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა თავისი სახლი. დევნილობის ესოდენ ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, საქართველოს შემდგომმა მთავრობებმა ცოტა რამ გააკეთა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობისათვის. ამის ნაცვლად, ისინი არწმუნებდნენ დევნილ მოსახლეობას იმაში, რომ ისინი მალე დაბრუნდებოდნენ თავიანთ მიწაზე და არ ღებულობდნენ ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ მათი პოლიტიკური ხმის ეფექტურობა. წინამდებარე ანგარიშში განხილულია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და გამოცდილება, რომლებმაც 2007-2008 წლებში განახორციელეს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც ხელს უწყობდა დევნილთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებას. ანგარიშში განხილულია პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია დევნილთა პოლიტიკური წარმომადგენლობისადმი განსხვავებულ მიდგომებთან. ასევე, დოკუმეტურად აღწერილია დევნილთა დამოკიდებულება კონფლიქტის მოგვარებისადმი და მათი რეაქცია 2008 წლის აგვისტოს ომსა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე. წინამდებარე ნაშრომში მოცემულია იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა წინაშე მდგარი ინტეგრაციისა და დაბრუნების დილემის ანალიზი.

წინააღმდეგობები ჩართულობის გზაზე

მიუხედავად იმისა, რომ 90–ანი წლების კონფლიქტური ზონების მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იძულებული გახდა, რომ მიეტოვებინა საკუთარი სახლები, მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს არ შეუძლიათ დაბრუნება აფხაზური და სამხრეთ ოსური დე–ფაქტო ხელისუფლებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. სამშვიდობო პროცესი ჩიხში შევიდა, მაგრამ ხელისუფლებები ერთი მეორის მიყოლებით უარს ამბობდნენ ნებისმიერი სხვა ვარიანტის განხილვაზე, გარდა საკუთარ სახლებში დევნილთა დაბრუნებისა. ამის შედეგად, იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები დღემდე არ არიან ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში და რჩებიან ქართული პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყულობის მიჯნაზე.

პოლიტიკურ პროცესებში დევნილთა ჩართულობას ბევრი ფაქტორი უშლიდა ხელს. ინტეგრაციის კონცეფციას ბევრისთვის ნეგატიური დატვირთვა ჰქონდა. ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც მუდმივად დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ, შიშობდნენ, რომ ინტეგრაციის პოლიტიკის შედეგად შეიძლებოდა საკუთარი ამომრჩევლების ხმები დაეკარგათ. თავად დევნილები კი შიშობდნენ, რომ ინტეგრაცია სახლში დაბრუნების უფლებას დააკარგვინებდათ.

პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ჯერ კიდევ ომის დროს იყვნენ გამოდევნილნი აფხაზეთიდან, ამ შიშების გავრცელებას გარკვეულწილად ხელს უწყობდნენ. პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავისი ომამდელი თანამდებობები – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა – ეწინააღმეგებოდნენ ინტეგრაციას, რადგან მასში ხედავდნენ საფრთხეს დევნილების, როგორც განცალკევებული, შეკრული საზოგადოების, კანონიერი წარომადგენლობის უფლებაზე.

ამის შედეგად, ინტეგრაციისა და დაბრუნების პრობლემები განიხილებოდა „ან–ან“ პრინციპით: ანუ, ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ დევნილთა ინტეგრაცია შესაძლებელია მხოლოდ დაბრუნებაზე უარის თქმის ფასად. შეზღუდვებმა დევნილთა ინტეგრაციაზე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ე.წ. „ლეგიტიმური მთავრობის“ სტრუქტურების შენარჩუნებამ გამოიწვია რიგი პრობლემების წარმოშობა:

- წამყვანმა პოლიტიკურმა ძალებმა დაიწყეს დევნილებით მანიპულირება საკუთარი მიზნებისათვის – არჩევნებზე მათი ხმების მოსაპოვებლად, ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად და ა.შ.
- „ლეგიტიმური მთავრობის“ კორუფციასთან გაიგივება;
- დარღვეული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა საარჩევნო უფლება, რის შედეგად მათ არ ჰქონდათ საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღების საშუალება.

და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ინტეგრაციის ტაბუირებამ ხელი შეუწყო დევნილთა სეგრეგაციასა და გამუდმებულ დისკრიმინაციას, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას. ცოტა მათგანს თუ შეეძლო საკუთარი სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ეფექტური გადაჭრა, მით უმეტეს, რომ ამისათვის არ არსებობდა დევნილთა რეალური წარმომადგენლობითი ორგანო.

განცალკევებულობიდან ინტეგრაციისაკენ

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში მომხდარი რეფორმებისა და საკადრო ცვლილებების შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ მნიშვნელოვანწილად დაკარგა თავისი ადრინდელი გავლენები. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გახდა ის წამყვანი სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც დევნილთა პრობლემებით მეტად იყო დაკავებული. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, გარკვეულწილად, შეძლო ინტეგრაციისთვის ტაბუს მოხსნა და სცადა არსებული პრობლემების მოგვარება. თუმცა, იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები ისევ რჩებოდნენ გარიყულებად ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებიდან.

გავლენიანი წარმომადგენლების გარეშე, რომლებიც ახმოვანებდნენ დევნილთა ინტერესებს არაეფექტური, მაგრამ ამის მიუხედავად საკმაოდ აქტიური „ლეგიტიმური მთავრობის“ სახით, დევნილები ახალი პირობებისათვის მოუმზადებლები აღმოჩნდნენ. მათ არ იცოდნენ თუ როგორ უნდა ელაპარაკათ პოლიტიკოსებთან, კანონმდებლებთან და პოლიტიკურ პარტიებთან.

ამის გარდა, დევნილთა ნაწილს აშინებდა ქართულ საზოგადოებაში მათი ინდივიდუალური – განსხვავებით ჯგუფურისგან (როგორც ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფი) ინტეგრაციის შესაძლებლობა. ისინი ინტეგრაციას ისევ აღიქვამდნენ, როგორც აფხაზეთში დაბრუნების საკუთარ უფლებაზე უარის თქმას. ისინი აგრეთვე შიშობდნენ, რომ ინტეგრაცია დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა, „დააკანონებდა“ მათ მძიმე სოციალურ–ეკონომიკურ და დისკრიმინაციულ მდგომარეობას.

დევნილები უფრო კეთილგანწყობილნი გახდნენ ინტეგრაციისადმი მას შემდეგ, რაც მოხდა ამ ცნების გამოცალკევება „ასიმილაციისა“ და „ნატურალიზაციის“ იდეიდან. ამის შემდეგ ინტეგრაცია განიხილებოდა როგორც თანასწორობის მიღწევისა და საზოგადოებრივი სიკეთეებით სარგებლობის შესაძლებლობა. ქსელი აქტიურად მიყვებოდა ამ მოდელს ევროკომისიის პროექტის განხორციელების დროს 2007 – 2008წ.წ. მაგ.: ქსელის წევრები მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო პროგრამებში – უხსნიდნენ დევნილებს, თუ როგორ უნდა დაიცვან თავისი უფლებები; გარკვეულ ჯგუფებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ასწავლიდნენ საზოგადოებრივი მუშაობის მეთოდებს. ისინი აგრეთვე მონაწილეობდნენ პარლამენტის წევრებთან და სხვა პოლიტიკოსებთან დევნილთა შეხვედრებსა და სატელევიზიო გადაცემებში, რომლებიც უშუალოდ დევნილთა პრობლემებისადმი იყო მიძღვნილი. ამ მუშაობამ, ისევე როგორც სხვა ღონისძიებემა, დადებითი შედეგები გამოიღო:

- მმართველი პარტიისადმი უპირობო მხარდაჭერამ, რაც ადრე ნორმას წარმოადგენდა, ადგილი დაუთმო დევნილთა შორის პოლიტიკური შეხედულებების მრავალფეროვნებას; ამის გარდა, მათ უფრო აქტიურად დაიწყეს მონაწილეობის მიღება არჩევნებში;
- დევნილებს მიეცათ მათი პრობლემების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
- დევნილებთან შეხვედრისა და საუბრების შემდეგ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა დაიკავა შედარებით გაწონასწორებული პოზიცია ამ საკითხებისა და კონფლიქტების მიმართ.

თუმცა, უამრავი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ 2007 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ საქართველოს მთავრობამ მიიღო იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია, მისი პრქტიკული რეალიზაცია ჯერ არ დაწყებულა. მართალია იძულებით გადაადგილებულმა პირებმა–დევნილებმა მოახერხეს თავისი ზოგიერთი სოციალური და ეკონომიკური პრობლემის მოგვარება, მაგრამ კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიაზე გავლენის მოხდენა მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომი აღმოჩნდა.

კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ დებატებზე გავლენა

პროექტის კიდევ ერთი ძირითადი ასპექტი, რომელიც აღწერილია ამ ანგარიშში, არის სამუშაო, რომელიც მიმართული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესაძლებლობების გაზრდაზე კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებულ დებატებზე (და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკაზე) გავლენის მოსახდენად. ქართველი პოლიტიკოსები და „ლეგიტიმური მთავრობა“, როგორც წესი, დევილებს წარმოადგენდნენ „მოწინააღმდეგე მხარის“ მოსახლეობისადმი აგრესიულად განწყობილებს. ამ სტრატეგიის მიზანი იყო სამშვიდობო პროცესის მონაწილე დაპირისპირებულ მხარეებზე ზეწოლა, და, აგრეთვე ამომრჩეველთა ხმებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვება იმის აქცენტირებით, რომ იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები კონფლიქტის მსხვერპლნი არიან.

იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების მხოლოდ როგორც მტრულად განწყობილ ხალხად წარმოჩენით შეიძლება კიდევ უფრო შევამციროთ მათი სახლში დაბრუნებისა და მხარეთა გამყოფი ხაზის იქით მცხოვრებლებთან მშვიდობიანი თანაარსებობის არც თუ ისე მაღალი შანსები. თუმცა, მსგავსი მოსაზრებები არ შეესაბამება სინამდვილეს: ქართულმა

არასამთავრობო ორგანიზაციებმა დენილთა შორის განსხვავებულ აზრთა სიმრავლე აღმოაჩინეს. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც შერიგების აუცილებლობისაკენ იხრებიან. ამიტომ, პროექტის მიზანი იყო კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტის ალტერნატივის გამოვლენა.

პროექტმა ხელი შეუწყო იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების ძირითადი ჯგუფების კონფლიქტის თემაზე დისკუსიაში ჩართვას. მათ პირველად მიეცათ საშუალება პირდაპირი გზით დაესვათ ქართველი პოლიტიკოსებისა და დეპუტატობის კანდიდატებისათვის საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიის შესახებ არც თუ ისე ადვილი და სასიამოვნო კითხვები. ქსელის წევრებმა ასევე შეძლეს შეემცირებინათ აგრესიული აგიტაციის ტონი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

თუმცა, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლებამ 2008წ. აგვისტოში თვალნათლივ წარმოაჩინა, თუ რამდენად შეზღუდულია სამშვიდობო გზების პროპაგანდის შესაძლებლობები. ომმა მოიტანა იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ახალი ტალღა, ხოლო მათ, ვისაც საკუთარი სახლების მიტოვება ადრეულ 90–ან წლებში მოუწიათ, კიდევ უფრო გაუხანგრძლივა დევნილის ისედაც ხანგრძლივი სტატუსი. ამ გარემოებებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დევნილთა უფლებების დაცვის კომპლექსური და გრძელვადიანი სტრატეგიის აუცილებლობას.

გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დევნილთა გავლენის უზრუნველყოფის საფუძვლების შექმნა

ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას საკუთარი მიზნების მისაღწევად დევნილთა საკითხებით მანიპულირება. ეს ეხება როგორც წინასაარჩევნო პერიოდს, ასევე კონფლიქტის საკითხებში საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას. დევნილების მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობების გაძლიერება პრიორიტეტული ამოცანა უნდა გახდეს. კერძოდ კი ხელისუფლებამ უნდა:

- თავი შეიკავოს მალე დაბრუნების დაპირებებისაგან. „მალე დაბრუნების“ დაპირებები არარეალურია, და სავარაუდოდ, ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეძლებს მათ შესრულებას. ასეთი რიტორიკა ხელს უშლის ისეთი გრძელვადიანი სტრატეგიების განხილვას, რომლებსაც დევნილებისათვის მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ.
- თავი აარიდოს დევნილების წარმოჩენას როგორც ხალხისა, რომელიც მტრულადაა განწყობილი კონფლიქტის მეორე მხარის მიმართ. ასეთი სტერეოტიპები აქვეითებს სამომავლო დაბრუნების შანსებს და ამცირებს სივრცეს კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო მიდგომების განხილვისათვის.
- თანდათანობითი ინტეგრაცია – ეს არის პროცესი, რომელიც სრულიად არ ეწინააღმდეგება იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა დაბრუნების უფლებას (ან რესტიტუციის უფლებას), როცა ამისათვის შექმნილი იქნება სათანადო პირობები. ინტეგრაციის აღქმა, როგორც პროცესისა, რომელიც შეუთავსებელია დაბრუნებასთან, ქმნის მსუყე ნიადაგს იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დარღვევისათვის დევნილობის მთელ პერიოდში.
- გამოიყენოს იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა პრობლემების მოგვარების სტრატეგია სამოქმედო გეგმების ეფექტური და დროული მიღების გზით.
- ხელი უნდა შეუწყოს იძულებით გადაადგილებული პირების აქტიურ ჩართვას პოლიტიკურ პროცესებში როგორც ადგილებზე, ასევე ნაციონალურ დონეზე და უზრუნველყოს იმ პოლიტიკოსების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, რომლებიც მათი სახელით გამოდიან.
- იძულებით გადაადგილებული პირებისთვის შექმნას ისეთი გარემო, სადაც დევნილები შეძლებენ გავლენა მოახდინონ კონფლიქტის მოგვარების საკითხებსა და დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაზე.
- მიიღოს ზომები იმისათვის, რომ „ლეგიტიმურმა მთავრობამ“ დააკმაყოფილოს დემოკრატიული არჩევითობისა და წარმომადგენლობის ძირითადი პრინციპები და მოახდინოს მათი რეფორმირება, თუკი ისინი ვერ ახერხებენ ამ პრინციპების დაცვას.

შესავალი

1

იძულებით გადაადგილებული პირები და ლტოლვილები სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების თანმდევი მახასიათებელია. ასობით ათასი ადამიანი ვერ ბრუნდება საკუთარ სახლში, რომლის მიტოვება მოუწიათ საომარი მოქმედებების დროს ან მათი შეწყვეტის შემდეგ. ამ სახლების ნაწილი გადარჩა, ნაწილი კი მთლიანად განადგურდა. ზოგიერთ გადარჩენილ სახლში დღეს „მტრები“ ცხოვრობენ, რომლებიც ასევე შეიძლება გახდნენ უსახლკარონი და იძულებით გადაადგილებულები.

ნებისმიერ შემთხვევაში ეს სახლები, ან მათი ნანგრევები, ამჟამად განლაგებულნი არიან სეპარატისტული, თვითაღიარებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიების მაკონტროლებელი დე–ფაქტო ხელისუფლებები მოითხოვენ მათი პოლიტიკური სტატუსის საბოლოო განსაზღვრას, როგორც იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების ფართომასშტაბიანი დაბრუნების აუცილებელ პირობას. ცენტრალური ხელისუფლებები კი მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური სტატუსის საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნების შემდეგ.

ეს ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამშვიდობო პროცესის მთავარი წინააღმდეგობა. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც შუამავლები უშედეგოდ ცდილობენ ამ შეუთავსებელი პოზიციების შეჯერებას. ამ ხნის განმავლობაში კი ასობით ათასი ადამიანი აგრძელებს ცხოვრებას დევნილობაში.

2007 წლის თებერვლიდან 2008 წლის აგვისტომდე საქართველოში ხორციელდებოდა პროექტი „დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობების გაძლიერება“. პროექტი დაფინანსებული იყო ევროკომისიის მიერ და მის განხორციელებას ხელს უწყობდა ლონდონში არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია “შერიგების რესურსები”. ეს ანგარიში (რომელიც დოკუმენტში მოხსენიებული იქნება, როგორც “პროექტი”) ეფუძნება ადგილობრივი აქტივისტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის დევნილთა პრობლემატიკაზე მუშაობის თითქმის ათწლიან გამოცდილებას. პროექტის მიზანი იყო საქართველოში დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობების გაძლიერება პოლიტიკური მოვლენებით ერთ–ერთ ყველაზე დატვირთულ პერიოდში

დევნილი ქალების სამი თაობა დევნილთა კოლექტიური ჩასახლების ცენტრში

ამ პუბლიკაციის მიზანია აღნიშნული გამოცდილების დოკუმენტირება. კერძოდ:

- ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა მონაწილეობის ძირითადი წინააღმდეგობების გამოავლენა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ამ წინააღმდეგობების დაძლევისას მიღებული გამოცდილების აღწერა;
- პროექტის განხორციელების დროს მიღებული კონკრეტული გაკვეთილების განხილვა;
- ამ სფეროში მუშაობის თითქმის ათწლიანი გამოცდილების შეჯამება.

ეს განხილვა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის მიმდინარე და მომავალი სტრატეგიების შემუშავების დროს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

დევნილობაში ცხოვრებასა და სამოქალაქო უფლებების დაკარგვას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. ბევრმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა არ იცის თავისი უფლებები და მათი დაცვის უნარს არ ფლობს, იმის მიუხედავად, რომ ის ფორმალურად თავისი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე არის. საქართველოს შემთხვევაში ამ ურთიერთკავშირის მნიშვნელობა გააძლიერა იმანაც, რომ პროექტის განხორციელება დროში დაემთხვა რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს, რომლებიც ჩატარდა, შესაბამისად, 2008 წლის იანვარსა და მაისში.

გარდა ამისა, პროექტის განხორციელების პერიოდის პოლიტიკური სიტუაციის მოწყვლადობის ნათელი დემონსტრირება იყო საომარი მოქმედებების განახლება 2008 წლის აგვისტოში. აგვისტოს ომმა და შემდგომმა მოვლენებმა გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ახალი ტალღის გაჩენა. ბევრი იძულებით გადაადგილებული პირისათვის, რომლებსაც ადრეულ 90–ან წლებში მოუწიათ საკუთარი სახლების მიტოვება, აგვისტოს ომის შედეგები ნიშნავდა მათი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირების სტატუსის საბოლოო დადასტურებას.

ეს შედეგები კიდევ უფრო უსვამს ხაზს იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილებისა და მათ გარშემო მყოფი საზოგადოების ურთიერთობის დინამიკის გაგების მნიშვნელობას. აუცილებელია დევნილთა პოლიტიკური აქტიურობის გასაძლიერებლად მუშაობის გაგრძელება მათი განსახლების ადგილებში იმ დრომდე, სანამ გრძელდება მათი დევნილობა.

1.1 დევნილობა: წარსული, აწმყო და მომავალი

იძულებით გადაადგილებულ პირებს–დევნილებს[1], ისევე როგორც ლტოლვილებს, ჩვეულებრივ წარმოაჩენენ როგორც კონფლიქტის მსხვერპლებს. იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა რაოდენობა ხშირად მოყავთ როგორც კონფლიქტის ერთი მხარის – როგორც წესი, დამარცხებულის – მიერ გადატანილი დანაკარგებისა და უბედურებების სიმბოლო.

იძულებით გადაადგილებული პირები, როგორც მტრის მოქმედებებით გამოწვეული ტანჯვის ცოცხალი დადასტურება, ბევრისთვის კონფლიქტთან დაკავშირებული ყველაზე მწვავე განცდების ადამიანურ მეტაფორად იქცნენ. იძულებით გადაადგილებული პირების მძიმე ყოფა (განსაკუთრებით მათი, ვინც იძულებულია თავი შეაფაროს ქოხმახებს) სამხრეთ კავკასიური კონფლიქტების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული და ცნობადი გამოხატულებაა, რომელიც ჩრდილავს ყველა სხვა ოფიციალურ აღწერილობას. ამავე დროს მოგონებები მიტოვებულ სახლებსა და სოფლებზე, კონფლიქტამდელ მშვიდობიან ცხოვრებაზე, მჭიდროდაა ჩაქსოვილი დანაკარგების ქრონიკაში. დაკარგულ ტერიტორიებთან კავშირის გამო, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების თემა ხდება იმ მრავალრიცხოვანი ვარაუდების, პროგნოზებისა და მოლოდინების ცენტრალურ თემად, რომლებიც კონფლიქტის სტრუქტურას შეადგენენ. მათ, ფაქტიურად, მოუწოდებენ ხორცი შეასხან ხალხის სურვილს დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები საკუთარ სახლებში დაბრუნების გზით, მაშინვე, როგორც კი ამისათვის შექმნილი იქნება შესაბამისი პირობები. ეს თითქოსდა ითვლება იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ვალდებულებად, ვინაიდან მათი მონაწილეობის გარეშე ამ ტერიტორიებზე ნებისმიერ პრეტენზიას არ ექნება არანაირი ძალა.

ეს პროცესი ხშირად აიძულებს იძულებით გადაადგილებულ პირებს–დევნილებს იცხოვრონ სხვადასხვა რეალობებში. ამ რეალობებიდან პირველი არის ფიზიკური რეალობა, ანუ ცხოვრება დევნილობაში. ბევრისთვის ეს

1 იძულებით გადაადგილებულ პირებად–დევნილებად იწოდებიან ის პირები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად იძულებულები გახდნენ მიეტოვებინათ საკუთარი სახლები და დასახლებულიყვნენ ახალ ადგილზე საკუთარი ქვეყნის ფარგლებში. ლტოლვილებისაგან მათ განასხვავებთ ის, რომ მათ არ გადაუკვეთიათ თავისი ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები. ქართულ–აფხაზური კონფლიქტის კონტექსტში აფხაზეთიდან დევნილი ქართული მოსახლეობა აღიარებულია იძულებით გადაადგილებულ პირებად–დევნილებად. თუმცა, ამავე მოსახლეობას აფხაზეთში თვლიან ლტოლვილებად, ვინაიდან აფხაზურ–ქართული საზღვარი იქ მიჩნეულია საზღვრად ორ სუვერენულ სახელმწიფოს შორის.

ნიშნავს მრავალწლიან ცხოვრებას დროებით ბანაკებში, კოლექტიურ ცენტრებში, ყოფილ სახელმწიფო დაწესებულებებში, კარვების ქალაქებში. მიუხედავად კონფლიქტში თავისი ცენტრალური ადგილისა, ამ კონტექსტში იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები ჩვეულებრივ აღმოჩნდებიან გაუცხოებულები საკუთარ საზოგადოებაში. მათ ეჭვის თვალით უყურებენ, როგორც „ახალმოსულებს“, რომლებიც საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად მეზობლების მეტოქეები ხდებიან. ვინაიდან იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივ მოსახლეობას კონკურენციას ვერ უწევენ ისედაც მწირი სამუშაო ადგილების, განათლების, ჯანდაცვის და სხვა მომსახურეობის მისაღებად, ხდება მათი მარგინალიზაცია.

სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულება იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა მძიმე ხვედრის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელმწიფო თვითონ განიცდის რესურსებისა და მათი სამართლიანი განაწილების ინსტიტუციური შესაძლებლობების ნაკლებობას. დევნილობა მყარად ასოცირდება მთელ რიგ უარყოფით სტერეოტიპთან, რომელიც უკავშირდება სიღატაკეს, სხვის ხარჯზე ცხოვრებასა და მარგინალობას. ზოგ შემთხვევასში ეს სტერეოტიპები ემთხვევა რეგიონალურ და/ან სუბ–ეთნიკურ მახასიათებელ ნიშნებს, რაც ქმნის საზოგადოებისაგან სოციალური განცალკევებულობის რთულ, მრავალდონიან განცდას.

მეორე რეალობა – ეს არის მითოლოგიზირებული წარმოდგენა მშობლიური მხარისა, რომლის დატოვებაც მათ მოუხდათ. როგორც დაკარგულ ტერიტორიებზე პრეტენზიების გამოხატულება, იძულებით გადაადგილებული პირები ბევრისთვის ამ ტერიტორიების წარმოსახვითი წარსულისა და მომავლის განსახიერება გახდნენ.

წარსულის შენარჩუნება ხდება რიგი მექანიზმების გამოყენებით, კონტექსტიდან გამომდინარე. მაგალითად, აზერბაიჯანული ლტოლვილთა და დევნილთა ბანაკები, ორგნიზებული იყო ყოფილი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ისე, რომ ერთი რაიონის ან ქალაქის მაცხოვრებლები მოხვედრილიყვნენ ერთად. ახლად აშენებულ ქალაქებში გამოიყენება იგივე პრინციპი: სამუშაოს ძებნა დევნილს შეუძლია ბანაკის მხოლოდ საკუთარ ნაწილში, (იქ, სადაც ცხოვრობენ მისი რაიონის დევნილები) მუდმივი შეხსენება, როგორიცაა ახლად შემოღებული “გენოციდის დღეები” და საჯარო შენობებზე გამოკიდებული ხსოვნის პლაკატები, აერთიანებს დევნილებს და არ აძლევს საშუალებას დაივიწყონ საერთო ტრავმა.

საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების იზოლირებამ ცალკე სკოლებში, საავადმყოფოებსა და სოციალური მომსახურეობის სხვა ცენტრებში ხელი შეუწყო მათ განცალკევებას. დევნილების ჩასახლებებს თბილისის ცენტრალურ სასტუმროებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში – ქალაქური ლანდშაფტის ამ ღია ჭრილობებს, როგორც ჩანს,

ხსოვნის კუთხე ზუგდიდის რაიონის კომპაქტური ჩასახლების ცენტრის ერთ–ერთ ოთახში. მამაკაცის ფოტო გადაღებულია აფხაზეთის ომის დროს, ხოლო ბიჭის ფოტო უკვე დევნილობის პერიოდს ეკუთვნის.

უნდა შეესრულებინათ დევნილობის ტრავმის მუდმივი შეხსენების ფუნქცია.

იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების მომავალი მაინც განიხილება დაბრუნების ჭრილში: ბევრი მათგანი, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანი, განაგრძობს ოცნებას დაბრუნებაზე. ხელისუფლება კი მტკიცედ იმეორებს, რომ დაბრუნება არის დევნილების პრობლემების გადაწყვეტის ერთადერთი მისაღები გზა.

ეს პროცესები ფაქტიურად არ აძლევს საშუალებას იძულებით გადაადგილებულ პირებს–დევნილებს იცხოვრონ დღევანდელი დღით. ამის სანაცვლოდ, მათგან ითხოვენ ცხოვრებას ნაწილობრივ წარსულით, უმთავრესად კი მომავლით – სწორედ იმ მომავლით, რომლის უზრუნველყოფას ხელისუფლება ვერაფრით ახერხებს. იქ, სადაც იძულებით გადაადგილებული პირები საკმაო დროის განმავლობაში ცხოვრობენ დევნილობაში, მაგალითად სამხრეთ კავკასიაში, საზოგადოებამ ისინი „დროებით“ მიიღო თავის რიგებში. ყველა ღონისძიებას, რასაც მათთვის ხელისუფლება ახორციელებს, დროებითის კვალიფიკაცია აქვს, ანუ მოქმედებს მათ გარდაუვალ დაბრუნებამდე.

დევნილების პირველი ტალღის გამოჩენის დროისთვის პრივატიზაციის პროცესი ფაქტიურად სრულდებოდა. ასე რომ დევნილებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა სხვებთან თანაბარი მონაწილეობა მიეღოთ პრივატიზაციაში. ბევრ შემთხვევაში ამან გამოიწვია მათი უფლებების, მაგალითად საკუთრების უფლების, და აგრეთვე ხმის უფლებისა და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლების, დარღვევა. უფლებების ამ დარღვევებს ტრადიციულად ამართლებენ „ბოროტების პირველწყაროზე“ მითითებით – მტერმა ადამიანებს წაართვა უფლება იცხოვრონ საკუთარ მიწაზე

ამ სიტუაციამ დევნილებს თავს მოახვია ორი პრობლემური იდენტობა: სოციალური იდენტობა, რომელიც აწმყოში სხვადასხვა ხარისხით ასოცირებულია გარიყულობასა და დისკრიმინაციასთან და ერთგვარი მორალურ-ეთიკული იდენტობა, რომელიც სიმბოლიზირდება ისტორიულ შეცდომასთან, რომლის დავიწყებაც შეუძლებელია. გარკვეულწილად, ეს იდენტობა დიასპორის ანალოგიურია. თუმცა, პარადოქსულია ის, რომ იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები გვანან შიდა დიასპორას – ისინი უცხოები არიან საკუთარ ქვეყანაში.

ორი სხვა ფენომენი ამ გარემოებების პირდაპირ შედეგს წარმოადგენს. პირველი ის, რომ როგორც კოლექტიური მძიმე ყოფის სიმბოლო, იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები, როგორც წესი, განიხილებიან როგორც ერთგვაროვანი, ინდიფერენტული მასა. თუმცა, სინამდვილეში ეს არის ადამიანების არაერთგვაროვანი ჯგუფი, რომელსაც განსხვავებული მოთხოვნილებები, რესურსები და შესაძლებლობები გააჩნია. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მთავრობებს დიდი დრო დასჭირდათ იმისათვის, რომ ეღიარებინათ ეს მრავალფეროვნება და, აქედან გამომდინარე, შეძლებოდათ გაერჩიათ იძულებით გადაადგილებული პირების სხვადასხვა კატეგორიები მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. უნივერსალური მიდგომით ზოგჯერ ყურადღების მიღმა რჩება ყველაზე დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფები და დახმარება უგრძელდება იმას, ვისაც ეს დახმარება ფაქტიურად აღარ ჭირდება.

მეორე, ის, რომ მათი სტატუსი, როგორც დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე პრეტენზიის სიმბოლო, ნიშნავს იმას, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ძალიან ხშირად ხმის უფლება ერთმევათ და მათ ნაცვლად სხვები ლაპარაკობენ. სხვების რიცხვში შედის პოლიტიკური სუბიექტების საკმაოდ ფართო სპექტრი. ადგილობრივი პოლიტიკოსები იძულებით გადაადგილებულ პირებს ხშირად იყენებენ საკუთარი მიზნებისათვის. ამას გარდა, დაბრუნების აუცილებლობის დაჟინებული ხაზგასმა ხშირად გარედანაა თავს მოხვეული, როგორც საარჩევნო დივიდენდების წყარო. ამგვარად, იძულებით გადაადგილებული პირებით, როგორც პოლიტიკური სარგებელის მიღების ინსტრუმენტით, თანმიმდევრულად მანიპულირებენ იმის ნაცვლად, რომ მოაგვარონ მათი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები.

1990–ანი წლების ბოლოსა და ახალი ათასწლეულის დასაწყისში სამშვიდობო პროცესი ჩიხში იყო შესული და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაიწყო დევნილობაში ცხოვრების მეორე ათწლეული. იძულებით გადაადგილებული პირები სულ უფრო იხლიჩებოდნენ გარემომცველ სივრცეში მათი ინტეგრაციის მუდმივ წინააღმდეგობასა და საკუთარი ცხოვრების შეძლებისდაგვარად ნორმალურად მოწყობისა და დანარჩენ მოსახლეობასთან თანასწორობის მიღწევის სურვილს შორის. როგორ რეაგირბდნენ იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები ამ ჩიხურ სიტუაციაზე და იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც ის მათ უყენებდათ?

მოცემული პუბლიკაციის თემა არის სწორედ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის რეაქცია ამ საკითხებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკმაოდ დიდ რიცხვს. ფაქტიურად, ამ რეაქციამ მიიღო იძულებით გადაადგილებული პირის ახალი იდენტობის ფორმულირების სახე. ეს არის მობილიზებული, საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში თანასწორ საწყისებზე

ხედი ზუგდიდის რაიონის. სოფ. რუხის კოლექტიური ცენტრის ფანჯრიდან. რბილი სათამაშოები და ქოთნის ყვავილი ერთგვარად ალამაზებს მძიმე ყოფას. შენობაში მიმდინარეობს რემონტი და მეტალო-პლასტმასის ახალმა ფანჯრებმა შეცვალა ძველი ხის ჩარჩოები.

ინტეგრირებული მოქალაქის სახე, რომელიც ამავდროულად ინარჩუნებს თავის სპეციფიურ იდენტობას, რომლის საფუძველიც არის სწორედ დაბრუნების უფლება. ასეთმა სტრატეგიამ შეცვალა დევნილები, გადააქცია რა ისინი საზოგადოებრივი მოძრაობის ერთგვარ მიმსგავსებად, რომელიც გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოიყენებს დროებით ან „პირობით“ ინტეგრაციას. ასეთი ინტეგრაცია კი გულისხმობს დისკრიმინაციის არარსებობას, საზოგადოებრივი სიკეთით თანაბარი სარგებლობის შესაძლებლობასა და პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიურ მონაწილეობას.

ასეთი მიდგომა ითვალისწინებს იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების განსაკუთრებულ როლს სამშვიდობო პროცესში. აქ ეს მიდგომა ეფუძნება პრაგმატულ დაშვებას, რომ მოქალაქე, როგორც სოციალური ან პოლიტიკური სუბიექტი, აქტიური უნდა იყოს იმ კონტექსტში, სადაც მას ამის შესაძლებლობა აქვს.

> „შერიგების რესურსების“ ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა: „ადამიანს შეუძლია ზემოქმედების მოხდენა იქ, სადაც ის იმყოფება. ქართველი დევნილებისათვის ეს არის საქართველო. ინტეგრაცია შეიძლება განვიხილოთ: როგორც კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო სტრატეგიაზე გავლენის საშუალება; როგორც საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა; როგორც იმ პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან თქვენით მანიპულირების თავიდან აცილების შესაძლებლობა, რომლებიც თქვენს ინტერესებს უნდა გამოხატავდნენ“.

თუმცა, ასეთ სტრატეგიას თავისი გამოწვევები და რისკებიც გააჩნია. ერთის მხრივ, ის დევნილებს აწმყოში ცხოვრების შესაძლებლობას აძლევს. მათ ეძლევათ იმის გაცნობიერების საშუალება, რომ სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა დევნილობაში ცხოვრების აუცილებელი ტვირთი კი არ არის, არამედ სრულიად მოგვარებადი პრობლემებია და მათ აქვთ ამ პრობლემების მოგვარებაზე მუშაობის უფლება. დროებითი ინტეგრაციის ცნება ამცირებს ჯგუფური/საერთო იდენტობის დაკარგვის შიშს. დაბრუნებასა და ინტეგრაციას შორის არსებული ნულოვანი წინააღმდეგობების დაძლევა იყო დევნილთა პრობლემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აქტივისტების მუშაობის ერთ–ერთი ძირითადი ასპექტი.

მეორეს მხრივ, დაბრუნების მოთხოვნის მოჩვენებითი შესუსტება (ან, უკიდურეს შემთხვევაში მისი გაურკვეველი დროით გადადება) საყოველთაო შეშფოთებას იწვევს და აიძულებს ხალხს იფიქროს, რომ ინტეგრაცია

ფაქტიურად ნიშნავს დაბრუნებაზე უარის თქმასა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში სრულ კაპიტულაციას. ხოლო იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების პროექტი მიმართულია საერთო სახელმწიფოებრივ სივრცეში მათი გათქვეფისა და ფაქტიურად, მათი გაქრობისაკენ.

ამ წუხილს იზიარებდა პროექტის ბევრი მონაწილე, ისევე როგორც მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც მტკიცედ აპირებს დაბრუნების საკუთარი უფლების რეალიზაციას. მათ სჯერათ, რომ მათთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადოებაში საკუთარი სახის შენარჩუნება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ გაცალკევება – ინტეგრაციის დილემისადმი სწორი მიდგომის შესახებ კონსენსუსი ჯერ–ჯერობით ნაპოვნი არ არის. გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს მხოლოდ აქტიური დისკუსიის შედეგად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აქტივისტები, საზოგადოების სხვა წევრები იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ჩათვლით.

მოცემულ პუბლიკაციაში შესწავლილია ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაო, რომელიც მიმართული იყო დაბრუნების აუცილებლობის გადაჭარბებული აქცენტირების დაძლევისაკენ, იმისათვის რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს მისცემოდათ შესაძლებლობა თავად გადაეწყვიტათ საკუთარი სოციალური და პოლიტიკური პრობლემები. პუბლიკაციაში წარმოდგენილი დასკვნები ეყრდნობა გაფართოებულ ინტერვიუებს პროექტისა და დვნილთა პრობლემებზე მომუშავე წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. დასკვნები აგრეთვე ეყრდნობა ქსელის მიერ მომზადებულ და ჩაწერილ პროექტის შეფასებებსა და „შერიგების რესურსების“ თანამშრომელთა გამოხმაურებებს.

დევნილობა საქართველოში

2

გასული საუკუნის 90–ან წლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ამ ორი ავტონომიის, ტერიტორიებზე განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ორივე რეგიონი დე–ფაქტო გამოეყო საქართველოს, ხოლო ასეულ ათასობით ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა საკუთარი სახლები. მიუხედავად იმისა, რომ განდევნილნი აღმოჩნდნენ კონფლიქტში ჩათრეული მოსახლეობის ყველა ფენები, ეს პრობლემა უფრო აქტუალური არის დამარცხებული მხარისათვის[2].

ქართულ–აფხაზური კონფლიქტის შემთხვევაში, ქართული სამხედრო ძალების დამარცხების კვალდაკვალ თითქმის მთელმა ქართულმა მოსახლეობამ დატოვა აფხაზეთი. თუმცა შემდგომ პერიოდში გალის რაიონის, რომელიც აფხაზეთის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, და რომელსაც აფხაზები „გალ"–ს უწოდებენ, ქართული მოსახლეობის ნაწილმა მოახერხა საკუთარ სახლებში დაბრუნება.[3]

სამხრეთ ოსეთი კონფლიქტის შედეგად დატოვა როგორც ქართული, ასევე ოსური მოსახლეობების ნაწილმა. ამას გარდა, 90–ან წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ეთნიკური ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადასახლდა სამხრეთ ოსეთსა და რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

90–ნი წლების ბოლოსა და მიმდინარე ათწლეულში კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობდა გაეროსა (ქართულ–აფხაზური კონფლიქტი) და ეუთოს (ქართულ–ოსური კონფლიქტი) შუამავლობით. ამ მოლაპარაკებების ერთ–ერთი მთავარი თემა იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა დაბრუნების დაკავშირება/მიბმა გამოყოფილი ტრეიტორიების პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრასთან. მაგრამ, კონფლიქტის ზონაში სიტუაციაზე ამ მოლაპარაკებებმა ვერ შეძლეს რაიმე საგრძნობი გავლენის მოხდენა. თუკი იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები მაინც ბრუნდებოდნენ საკუთარ სახლებში, ამას სპონტანური ხასიათი ჰქონდა. ხელახალ ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთში 1998წ. მაისში და სამხრეთ ოსეთში 2008წ. აგვისტოში (თუმცა, მდგომარეობის ესკალაციას იქ სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი), რასაც იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ახალი ტალღები მოჰყვა. ამასთან, ისინი ვინც იმ დროისათვის უკვე იყვნენ დაბრუნებულები, უკვე მეორედ აღმოჩნდნენ დევნილობაში.

2.1. დევნილთა რაოდენობა და გადასახლების ეტაპები

იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა და დაბრუნებულთა რაოდენობა ყოველთვის ხდება კონფლიქტის მხარეების დავის საგანი. ამიტომ ეს მონაცემები ვერ იქნება მოსახლეობის რაოდენობის მიგრაციისა და სეზონური ცვალებადობის სანდო ინდიკატორი.

საქართველოს მთავრობის მონაცემებით, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა 2007 წლის სახელმწიფო სტრატეგიაშია მოყვანილი, საქართველოში იმ მომენტისათვის იყო 247,000 იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან. თუმცა, ლტოლვილთა და განსხლების სამინისტროს მონაცემებით, აფხაზეთიდან დევნილების რაოდენობა 2005 წელს 209,000-ს უდრიდა.[4] აფხაზური მხარე ეჭვქვეშ აყენებს ამ მონაცემებს და ამტკიცებს, რომ აფხაზეთიდან მხოლოდ 160,000 ადამიანი იყო დევნილი. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს მონაცემებით 2008 წლის დეკემბრისთვის, ანუ 2008წ. აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოში 279,000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი–დევნილი იქნა რეგისტრირებული[5]. მათმა უმრავლესობამ საკუთარი სახლები 1992-1993 წწ. ქართულ–აფხაზური კონფლიქტის შედეგად მიატოვა; სიდიდით მეორე ჯგუფს შეადგენენ

2 სამხრეთ კავკასიურ კონფლიქტებში გამარჯვებულები თავის მოწინააღმდეგეებს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა პრობლემის მონოპოლიზაციაში სდებენ ბრალს. ვინაიდან მათ აკმაყოფილებთ შექმნილი მდგომარეობა და საკმაოდ ლოგიკურად თვლიან, რომ დამარცხებული მხარის იძულებით გადაადგილებული პირები საეჭვოა, რომ ოდესმე დაბრუნდნენ უკან, დაბრუნების საკითხი მათთვის პრიორიტეტული არ არის. ამ კონფლიქტებში დამარცხებულმა მხარეებმა კი პირიქით, იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემა გადააქციეს თავის ერთ–ერთ უმთავრეს პრიორიტეტად. პირველ რიგში იმიტომ, რომ ეს პრობლემა ეხება ხალხის დიდ რაოდენობას, და მეორეც, იმიტომ რომ მასში ხედავენ მათთვის არასახარბიელო სიტუაციის სასიკეთოდ შემობრუნების შესაძლებლობას.

3 დასახლებული პუნქტების გეოგრაფიული დასახელებები უკიდურესად პოლიტიზებულია ქართულ–აფხაზურ და ქართულ–ოსურ კონფლიქტებში. ამ ნაშრომში გამოყენებული დასახელებები შეესაბამება იმ დასახელებებს, რომლებიც კონფლიქტების დაწყებამდე, 90–ანი წლების დასაწყისამდე, გამოიყენებოდა. ამიტომ აქ გამოყენებულია „სოხუმი" და არა „სუხუმ" –ი და „სამხრეთ ოსეთი" და არა „ცხინვალის რეგიონი" ან „სამაჩაბლო", გარდა კონკრეტული, განსაკუთრებული შემთხვევებისა.

4 იხ. განხილვები კრიზისების საერთაშორისო ჯგუფში „აფხაზეთი: გზა მომავლისაკენ" Crisis Group Europe, მოხსენება No.179, 18 იანვარი 2007, გვ.19. http://www.crisisgroup.org/library/documents/europe/caucasus/179_abkhazia___ways_forward.pdf

5 ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო/იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა მონიტორინგის ცენტრი. "252,000-279,000 იძულებით გადაადგილებული პირი. დეკემბერი 2008", http:/www.internal-displacement.org/idmc/website/countries.nsf/(httpEnvelopes)/234CB919545031A9C12571D2004E4F73?OpenDocument

ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი დევნილთა სკოლაში დასავლეთ საქართველოში

2008 წ. აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები[6].

გალის რაიონის (რომლის მოსახლეობას ომამდე თითქმის მთლიანად ქართველები შეადგენდნენ) ქართული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ომის დამთავრების შემდეგ თანდათან დაბრუნდა სახლში. დაბრუნებულთა რიცხვი ისევ დავის საგნად რჩება და სეზონურად იცვლება. ითვლება, რომ რაიონში ამჟამად ცხოვრობს 47 000 ეთნიკური ქართველი7. 1998 წლის მაისში გალის რაიონში განახლდა საომარი მოქმედებები, რის შედეგადაც 30–40 ათასი ადამიანი ისევ გახდა იძულებული მიეტოვებინა საკუთარი სახლები. მათი დიდი ნაწილი შემდეგში ისევ დაბრუნდა უკან, ზოგიერთი მხოლოდ დროებით, იმისათვის რომ არ დაეკარგათ რეგისტრაცია ქართული ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს მათ საშუალებას აძლევს მიიღონ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის კუთვნილი დახმარება და სახელმწიფოს მხრიდან სხვა დახმარებები. შემდგომ, კიდევ 2000 ადამიანმა მიატოვა კოდორის ხეობა აფხაზური შეიარაღებული ძალების მიერ ხეობის დაკავების შემდეგ 2008წ. აგვისტოში.

ითვლება, რომ დაახლოებით 60 000 ადამიანი გამოიქცა სამხრეთ ოსეთიდან 1990–1992წწ. კონფლიქტის შედეგად, რომელთაგან 10 000 ეთნიკური ქართველია. 2008 წლის აგვისტოში საომარი მოქმედებების განახლების შედეგად გაჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ახალი ტალღა. აგვისტოს კონფლიქტის ყველაზე მწვავე მომენტში ქართული მხარის მიერ დარეგისტრირებული იყო 131 169 ეთნიკური ქართველი იძულებით გადაადგილებული პირი. შემდეგში ბევრმა მათგანმა შეძლო საკუთარ საცხოვრებელ ადგილებსი დაბრუნება, რომლებიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმდებარე „ბუფერულ ზონებში“ მდებარეობდა. ამის მიუხედავად, დაახლოებით 21 ათასი იძულებით გადაადგილებული პირისთვის, 19 111 დევნილისთვის სამხრეთ ოსეთიდან და 1821–თვის კოდორის ხეობიდან, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა და ამჟამად მათ ხანგრძლივ დევნილობაში მოუწევთ ცხოვრება

ამ მოვლენების შედეგად საქართველოში დღეისათვის არსებობს იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ: უმრავლესობად, რომლებიც იძულებულნი

6 აფხაზეთში ომის დამთავრების შემდეგ საქართველოს ოფიციალური პირები გამუდმებით ამტკიცებენ, რომ აფხაზეთიდან 300 000–ზე მეტი ქართველი იყო განდევნილი. თუმცა, ეს რიცხვი დამაჯერებლად არ გამოიყურება 1989წ. მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფონზე. ამ აღწერის მიხედვით კონფლიქტამდე სამი წლით ადრე აფხაზეთში 240 ათასი ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ომის შემდეგ მათი ნაწილი გალის რაიონში დაბრუნდა, ეს რიცხვი მით უფრო გადამეტებული გამოჩნდება.

7 კრიზისების საერთაშორისო ჯგუფი, აფხაზეთი დღეს, Crisis Group Europe მოხსენება No.176, 15 სექტემბერი 2006, p.11. http://www.crisisgroup.org/library/documents/europe/caucasus/176_abkhazia_today.pdf

იყვნენ საკუთარი სახლები მიეტოვებინათ 90–ნი წლების დასაწყისში, და უმცირესობად, რომლებიც დევნილობაში აღმოჩნდნენ 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად. ამის გარდა, 2008 წლის ბოლოსთვის სამხრეთ ოსეთის ახალგორის რაიონის დაახლოებით 7 000 მცხოვრები უსაფრთხოების პირობების არარსებობისა და მოშლილი ინფრასტრუქტურის გამო დროებითი გადასახლების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები გაფანტულები არიან მთელს საქართველოში, მაგრამ მათი უმრავლესობა თავმოყრილია ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში, სამეგრელოსა და იმერეთში, ასევე თბილისსა და ბათუმში. სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები ძირითადად განთავსდნენ ქალაქ გორსა და მის ახლომდებარე სოფლებში. 2009 წლის მდგომარეობით იძულებით გადაადგილებულ პირთა დაახლოებით 45% ცხოვრობს კოლექტიურ ცენტრებში, რომელთა უმეტესობა მოწყობილია ყოფილ სახელმწიფო დაწესებულებებში, სამხედრო ყაზარმებში, სკოლებში, დასასვენებელ სახლებში, სანატორიუმებსა და სახელმწიფო საცხოვრებელ სახლებში.

2.2. განცალკევებულობა და გაუცხოება

დევნილობაში ცხოვრებას გარდაუვალად თან სდევს გარშემო მყოფი საზოგადოებისაგან გაუცხოების განცდა. იძულებით გადაადგილებულ პირებში გაუცხოების გაჩენას სხვების მიერ მათი მეორეხარისხოვან ადამიანებად მიჩნევის განცდაც განაპირობებს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ისინი სხვებთან ერთად თანაბრად ვერ სარგებლობენ სოციალური მომსახურეობის სიკეთეებით, იძულებულნი არიან იცხოვრონ კოლექტიურ ცენტრებში და ვერ მონაწილეობენ პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ზოგ შემთხვევაში რეგიონალური ან სუბ–ეთნიკური განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც წარმოშობის ადგილთან ასოცირდება, ემატება იმ თავისებურებებს, რომლებიც გამოარჩევს იძულებით გადაადგილებულ პირებს გარშემო მყოფი საზოგადოებისაგან, რაც კიდევ უფრო აძლიერებს სოციალური განცალკევებულობის განცდას. იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში მითითებულია მათი ძველი მისამართები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, თითქოს ისინი ჯერ კიდევ იქ ცხოვრობენ.

განცალკევებულობასა და გაუცხოებისადმი მიდგომები უფრო დაწვრილებით მომდევნო თავებშია განხილული. იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები დანარჩენი მოსახლეობისაგან ხშირად განსხვავდებიან სოციალური დაუცველობის ნიშნით, ისეთით, როგორიცაა ნორმალური საცხოვრებელი პირობებისა და სამედიცინო მომსახურების უქონლობა, უმუშევრობა და ა.შ. ასეთმა ტენდენციებმა მათი დისკრიმინაცია შეიძლება გამოიწვიოს. მაგრამ ეს აგრეთვე შეიძლება მათი, როგორც თემის, კონსოლიდაციის საფუძველიც გახდეს და შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მისი დაშლის თავიდან აცილების საშუალება.

დევნილობის გრძელვადიან კონტექსტში ამან შეიძლება უბიძგოს მათ ამ განსხვავებების შენარჩუნებისკენ, რომელიც საზოგადოებისაგან მათი გარიყულობისა და მარგინალიზაციის მახასიათებელია. ამ სიტუაციაში, მხარდაჭერის ნაკლებობის პირობებში, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა გამოსავალი შეიძლება იპოვონ იმაში, რომ ამაყად ატარონ საკუთარი უბედურებების ტვირთი და შეურიგდნენ თავისი უფლებების დარღვევას, როგორც მარგინალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის საფასურს. შემდგომ თავებში ნაჩვენებია, რომ მეორეხარისხოვნების დამღისაგან გათავისუფლება შეიძლება განვიხილოთ როგორც დანარჩენ მოქალაქეებთან თანასწორობის მიღწევისა და საკუთარი უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოებისაკენ გადასადგმელი აუცილებელი ნაბიჯი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა კონსოლიდაციას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს[8]. შეიძლება თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირთა განცალკევებულ, შეკრულ საზოგადოებრივ ჯგუფად განხილვა, პროექტის მონაწილეებისა და მრავალი დევნილის მსჯელობის საგანი გახდა. ზოგიერთი მათგანი ხედავდა ბუნებრივ მსგავსებას იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა და საზოგადოების სხვა ჯგუფებს, მაგალითად, ეროვნულ უმცირესობებს შორის[9]. ამ თვალსაზრისის მიხედვით ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების

8 აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შემთხვევაში გარკვეულ როლს დაბადების ადგილთან დაკავშირებული რეგიონული თვითშეგნებაც თამაშობდა. გალის რაიონის (ისევე, როგორც მეზობელი რაიონის, სამეგრელოს) მოსახლეობის უმეტესობა მიეკუთვნება ქართული ეთნოსის შემადგენლობაში შემავალ მეგრულ სუბ–ეთნიკურ ჯგუფს. ისინი ლაპარაკობენ მეგრულ ენაზე, რომელიც ქართულის დიალექტია, თუმცა მისგან ფონეტიკურად განსხვავდება. ამის მიუხედავად, მეგრელების უდიდესი უმრავლესობა, თუ ყველა არა, თავს თვლიან ქართველებად და ამავე დროს ცალკე სუბ–ეთნიკურ ჯგუფად. ყოფით დონეზე მეგრული ენის გამოყენება, განსაკუთრებით დევნილობის პირველ წლებში, ასევე სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულება და უმეტესად წვრილ ვაჭრობაში დასაქმება განაპირობებდა მთელი რიგი სტერეოტიპების წარმოშობას, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა სახელს სიღატაკესა და პროვინციალიზმს უკავშირებდა.

9 აღსანიშნავია ის, რომ მოცემულ ანალოგიას ბევრი მტკივნეულად აღიქვამს. საქართველოში (ისევე როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში), „ეროვნული უმცირესობის“ ცნებას ტრადიციულად აქვს უარყოფითი კონოტაცია, რომელიც უკავშირდება მათ მარგინალურ სტატუსს სატიტულო ერთან შედარებით. ომისშემდგომ საქართველოში ეროვნული უმცირესობები, ისევე როგორც ზოგადად უმცირესობები, ასოცირდებოდნენ ქვეყნის შემდგომი დაშლის საფრთხესთან. ეს კი უმცირესობასა და უმრავლესობას შორის უნდობლობისა და შიშისათვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა.

ახალგაზრდა, შავებში ჩაცმული დევნილი ქალი თავის ოთახში კოლექტიურ ცენტრში. მისი ქმარი ომში დაიღუპა, ხოლო ვაჟი დევნილობაში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. მათი პორტრეტები მოჩანს სურათზე მე-9 გვერდზე

განცდა გადაადგილებულ პირებს, რომლებსაც დაცვის სხვა არანაირი საშუალება არ გააჩნდათ, მხარდაჭერის, საკუთარი ინტერესების ლობირებისა და გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევდა. სხვები თვლიდნენ, რომ ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფთან კუთვნილების განცდა წარსულის გადმონაშთი იყო, რომელიც დევნილობის პირველი ფაზიდან შემორჩა და თავის დროზე, შესაძლოა, დადებითი როლიც კი შეასრულა. მისგან გათავისუფლება აუცილებელია, თუკი დევნილებს სურთ მიაღწიონ მეტ უფლებებსა და გავლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში ცხოვრება იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ასოცირდება მძიმე პირობებთან, ის მჭიდროდ უკავშირდება კომუნალური ცხოვრების წესს, რომელიც ურთიერთდახმარების, ინფორმაციისა და აუცილებელი ნივთების გაცვლის საშუალებას იძლეოდა და ქმნიდა მიკუთვნებულობის ესოდენ აუცილებელ განცდას. ხანდახან ამ განცდას აძლიერებდა კოლექტიური ცენტრიდან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში გადასახლებული პირების მონაყოლი. ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ ახალმა მეზობლებმა ისინი არც თუ ისე სიხარულით მიიღეს და ნოსტალგიით იხსენებდა კოლექტიურ ცენტრში გატარებულ პერიოდს.

ცხადია, ომამდელი ცხოვრების მოგონებები, ვინაიდან ის კოლექტიურ მეხსიერებაში რჩება, სოლიდარობის კიდევ ერთი წყაროა. პროექტის კოორდინატორებმა აღნიშნეს, რომ ამის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ქცევის გარკვეული მოდელები, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განცდის შენარჩუნების სურვილთან. მაგალითად, დევნილი მშობლების სურვილი, რომ მათი შვილები დაქორწინდნენ ასევე დევნილებზე. ქსელის ერთ-ერთი წევრი დევნილთა თემიდან აღნიშნავდა, რომ როდესაც მისი ვაჟი დაქორწინდა, დევნილთა წრიდან მისი მეგობრები და ნაცნობები კითხულობდნენ, დევნილი იყო თუ არა მისი ცოლი.

2.3 დაბრუნება გალის რაიონში

გალის რაიონი, რომელიც აფხაზეთის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს, ერთადერთი ადგილია, სადაც იძულებით გადაადგილებული პირების გარკვეულმა ნაწილმა დაბრუნება შეძლო. ომამდე რაიონის მოსახლეობას პრაქტიკულად მხოლოდ ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ. სწორედ რაიონის მონოეთნიკურმა ხასიათმა და მისმა მდებარეობამ კონფლიქტის მხარეების გამყოფ ტერიტორიაზე, განაპირობა ქართული მოსახლეობის ნაწილის დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობა სეზონურად იცვლება. ასაკოვანი ადამიანები, როგორც წესი, იქ მუდმივად ცხოვრობენ, მაშინ როცა ოჯახის შედარებით ახალგაზრდა წევრები გამყოფ საზღვარზე წინ და უკან მოძრაობენ შექმნილი სიტუაციისდა მიხედვით.

კონფლიქტის ყველა მხარე ცდილობს „თავისებურად“ წარმოადგინოს გალის რაიონის ქართული მოსახლეობის სტატუსი, მოთხოვნილებები და სურვილები. აფხაზეთში მათ ეჭვის თვალით უყურებენ, როგორც პოტენციურ „მეხუთე კოლონას“. დანარჩენ საქართველოში ისინი ასევე არ სარგებლობენ ნდობით, ვინაიდან ითვლება, რომ დაბრუნებით მათ „განამტკიცეს“აფხაზეთის უკანონო სუვერენიტეტი და თანამშრომლობენ „მტერთან“, ანუ აფხაზეთის დე–ფაქტო ხელისუფლებასთან. გალის რაიონში ყოველდღიური ცხოვრება გამოირჩევა მუდმივი საფრთხეებით, რეგულარული მოტაცებებით, სროლებითა და ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა ფორმებით. ასეთი მდგომარეობა, იმის გათვალისწინებით, რომ არც ერთი მხარე არ ამჟღავნებს სიტუაციის გამოსწორების სურვილსა და ნებას, ხდება შემაკავებელი ფაქტორი დანარჩენი იძულებით გადაადგილებული პირების–დევნილების დაბრუნებისათვის.

პროექტის მიზნებში არ შედიოდა გალის რაიონის მცხოვრებთა მდგომარეობის შესწავლა. თუმცა, ამ საკითხებს „შერიგების რესურსებისა“ და მისი ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების სხვა პროექტები ეძღვნებოდა. პროექტის მონაწილე ქსელის ორგანიზაციების არც ერთი წევრი არ ცხოვრობს გალის რაიონში, თუმცა ზოგი მათგანი წარმოშობით იქიდან არის. გალის რაიონის მცხოვრებლები ზოგჯერ მონაწილეობდნენ პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში, მაგრამ ცდილობდნენ არ გამოჩენილიყვნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტაჟებსა და საგაზეთო პუბლიკაციებში, რადგან ფრთხილობდნენ, რომ არ შექმნოდათ პრობლემები გალში დაბრუნების შემდეგ.

2.4 პროექტის პოლიტიკური კონტექსტი

90-იანი წლების ბოლოდან საქართველოს პოლიტიკურ სიტუაციას ახასიათდებდა არასტაბილურობის პერიოდული ზრდა, სუსტი და არაეფექტური საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება და ისეთი ქრონიკული პრობლემები, როგორიცაა კორუფცია, კლიენტელიზმი, პიროვნების უპირატესობა პოლიტიკურ ინსტიტუტებთან მიმართებაში. ერთად აღებული ეს ფაქტორები ხელს უშლიდა სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურ გატარებას.

2003წ. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება გადაყენებული იყო და სახელმწიფოს სათავეში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად რევოლუციის ლოზუნგი სოციალური სამართლიანობა იყო, ძალიან მალე ხლისუფლების ოფიციალურ განცხადებებში პირველი ადგილი კონფლიქტების გადაწყვეტის თემამ დაიკავა. ამის პარალელურად, ქართულმა მხარემ განახორციელა ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კონფლიქტის ზონაში არსებული ძალთა ბლანსის თავის სასარგებლოდ შეცვლასა და რუსეთის გავლენის შემცირებას. კერძოდ, 2006 წლის ზაფხულში კოდორის ხეობაში განხორციელდა წესრიგისა და კანონიერების აღდგენის ოპერაცია, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პრო–ქართული ადმინისტრაცია.

პროექტის განხორციელება დროში დაემთხვა (2007წ. თებერვლიდან 2008წ. ივლისის ბოლომდე) საქართველოში სერიოზული პოლიტიკური მღელვარებების პერიოდს, რომლებმაც უშუალო შედეგები გამოიღეს დევნილებისათვის. 2007წ. სექტემბერში ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის, დაპატიმრებამ გამოძალვისა და ფულის გათეთრების ბრალდებით, მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია, რომელიც მასობრივ დემონსტრაციებში გადაიზარდა 2007წ. ნოემბერში. დემონსტრანტების ძალის გამოყენებით დაშლის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა განცხადება გადადგომისა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ. მან იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა საკუთარ სახლებში დაბრუნება საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიის ცენტრალურ ნაწილად აქცია. სააკაშვილმა პირობა დადო, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის უახლოეს თვეებში უზრუნველყოფდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პირობებს და გააკრიტიკა „ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია“ იმისათვის, რომ ისინი დევნილთა ინტეგრაციის იდეას უწევდნენ პროპაგანდას.

კედელზე დაკიდებულ ფოტოსურათზე გამოსახულია პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი 2007წ. ბოლოს წყალტუბოში, კოლექტიურ ცენტრში მცხოვრებ დევნილთან შეხვედრის დროს. ფოტოზე წარწერაა: „გმადლობთ, გისურვებთ ჯანმრთელობას და სახლში დაბრუნებას. მ. სააკაშვილი“.

2008წ. 5იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილმა ხმათა 53%–ით პირველივე ტურში გაიმარჯვა. თუმცა, ბევრის აზრით არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდა. სააკაშვილის ხელახალ არჩევას მოჰყვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომლებსაც არჩევნებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა: 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობა და ბუქარესტის სამიტზე ნატოს გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინისათვის სამოქმედო გეგმის არ დამტკიცების თაობაზე. მარტში საქართველომ აფხაზეთს სამშვიდობო ინიციატივები შესთავაზა, რომელთა შორისაც იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა, აფხაზეთის გარანტირებული მონაწილეობა ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებში და ა.შ. მაგრამ სოხუმმა უარყო ეს წინადადებები, რომლებიც ოფიციალურ გამოცხადებამდე არ იყო

შეთანხმებული აფხაზეთის ხელისუფლებასთან. 21 მაისს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომლის შედეგები ქართულ საზოგადოებაში არაერთგვაროვნად იყო შეფასებული. თავად არჩევნების პროცესს თან ახლდა სერიოზული ინცინდენტები, მაგ. თავდასხმა, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, გალის რაიონში მცხოვრები ქართველების ჯგუფზე, რომლებიც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიზე განლაგებულ საარჩევნო უბანში ხმის მისაცემად მიდიოდნენ.

სამხრეთ ოსეთში 2008წ. აგვისტოში დაძაბულობის ესკალაცია ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში გადაიზარდა ქართული, ოსური და რუსული სამხედრო ძალების მონაწილეობით (კოდორის ხეობაში აფხაზური ფორმირებების მონაწილეობით). პრაქტიკულად სამხრეთ ოსეთის მთელი ქართული მოსახლეობა და გორისა და მიმდებარე სოფლების ათასობით მაცხოვრებელი, იძულებული გახდა მიეტოვებინა საკუთარი სახლები. თავის მხრივ, ათასობით ოსი და რეგიონის სხვა მცხოვრები სამხრეთ ოსეთიდან რუსეთში გაიქცა. გორისა და გორის რაიონის მცხოვრებთა უმეტესობამ საომარი მოქმედებების დამთავრების შემდეგ შეძლო შინ დაბრუნება. მაგრამ სამხრეთ ოსეთის შიდა რაიონებისა და კოდორის ხეობის ქართულ მოსახლეობას, როგორც ჩანს, დევნილობაში ხანგრძლივი ცხოვრება ელის წინ.

ქართული შეიარაღებული ძალების დამარცხების კვალდაკვალ რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამით საგრძნობლად შეიცვალა ძალთა ბალანსი მოლაპარაკებების პროცესში (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე მაინც). კონფლიქტის მხარეების გამყოფი ხაზის გადაკვეთა მნიშვნელოვნად გაძნელდა და არსებული ინფორმაციით, გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას მეზობელ ზუგდიდისა და სხვა რაიონებში გადასასვლელად ქრთამის მიცემა უწევს. აგვისტოს ომის შემდეგ გზები თბილისიდან სამხრეთ ოსეთისაკენ მთლიანად იყო ბლოკირებული როგორც ცხინვალის ხელისუფლებისა და მისი რუსი მოკავშირეების, ასევე საქართველოს ხელისუფლების მიერ, რომელმაც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოაცხადა და საკანონმდებლო დონეზე შეზღუდა ამ რეგიონებში შესვლა.

დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში

3

თავად დევნილები, მათი ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ომამდელი პერიოდიდან არის შემორჩენილი, ანუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო („აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა“) და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.

დროთა განმავლობაში წამოყენებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის ორი საპირისპირო მოდელი. პირველი გულისხმობდა პოლიტიკურ პროცესებში დევნილთა მონაწილეობას საკუთარი, „სპეციალიზებული“ სტრუქტურების მეშვეობით, ანუ „ლეგიტიმური მთავრობის“ მეშვეობით, რომელსაც მათი ინტერესების გამოხატვა და ლობირება უნდა განეხორციელებინა. ამ მოდელის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირები განიხილებიან როგორც მოსახლეობის მრავალთაგან ერთ–ერთი სოციალური და პოლიტიკური ფენა საკუთარი ხელმძღვანელობითა და კოლექტიური თვითშეგნებით.

მეორე მოდელი, ფაქტიურად, გვერდს უვლის „ლეგიტიმური მთავრობის“ სტრუქტურებს და გულისხმობს პირდაპირი კავშირების დამყარებას ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც ცალკეულ მოქალაქეებს, შორის. ეს მოდელი გულისხმობს უფრო ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ლობირების გავლენას და იძულებით გადაადგილებულ პირთა პირდაპირ მონაწილეობას ქვეყნის წამყვან პოლიტიკურ პარტიებში ლობირების საკუთარი ინსტრუმენტების შექმნის გარეშე.

ამ მოდელების მიხედვით იძულებით გადაადგილებულ პირებს–დევნილებს საკუთარი ინტერესების გამოხატვის განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ. ამასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები:

- რა შემთხვევაშია იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესები უკეთ დაცული და უზრუნველყოფილი – როცა ისინი მოქმედებენ როგორც საზოგადოებრივი ჯგუფი, თუ როცა მოქმედებენ ინდივიდუალურად, როგორც ცალკეული მოქალაქეები?
- რა როლს შეიძლება ასრულებდეს „ლეგიტიმური მთავრობა“? ღირს თუ არა მისი შენარჩუნება, თუ უმჯობესია, რომ იძულებით გადაადგილებული პირების პოლიტიკური მონაწილეობა ხორციელდებოდეს ძირითად პოლიტიკურ პარტიებში მათი უშუალო ჩართვის გზით?

3.1 დევნილთა, როგორც ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის, მონაწილეობა შესაბამისი უწყებების საქმიანობაში

დევნილობის პირველი ათწლეულის განმავლობაში, რომელიც მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდს, დომინირებდა პოლიტიკური მონაწილეობის პირველი მოდელი.

დევნილობაში აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (ასსრ) უწყებები შენარჩუნებული იყო ყოველგვარი არჩევითობის გარეშე ვადის ავტომატური გაგრძელების გზით. ისინი „წარმოადგენდნენ“ აფხაზეთს, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოსთან ერთად, რომლის თავმჯდომარე იყო თამაზ ნადარეიშვილი.

საქართველოში „ლეგიტიმური მთავრობა“ ითვლებოდა აფხაზეთის სუვერენული ქართული მთავრობის ლეგიტიმურ მემკვიდრედ (სოხუმის დე–ფაქტო ხელისუფლების საპირწონედ). ეს იყო მთავრობა ტერიტორიებისა და ელექტორატის გარეშე, რომელიც მართავდა მხოლოდ მთელს ქვეყანაში მიმოფანტულ იძულებით ადაადგილებულ პირებს.[10]

ამ პერიოდისათვის “ლეგიტიმური მთავრობა“ საქართველოს პოლიტიკურ არენაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა არსებობის ყველაზე შესამჩნევი გამოვლინება გახდა. მაგრამ ეს სტრუქტურები ძალიან მალე ჩაეფლნენ კლანურ და პერსონალურ კავშირებში, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის. საბოლოო ჯამში, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესების წარმოდგენა „დაევალა“ სწორედ ამ დაინტერესებულ წრეებს.

თამაზ ნადარეიშვილი და „ლეგიტიმური მთავრობა“ კონფლიქტის მოგვარების საკითხებში მყარად ასოცირდებოდა ხისტ და შეურიგებელ პოზიციასთან. მაგალითად, თამაზ ნადარეიშვილმა დაწერა წიგნების სერია, რომელშიც აღწერილი იყო აფხაზეთის ქართული მოსახლეობის „გენოციდი“.

10 სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ვერ შეინარჩუნეს საკუთარი სამთავრობო სტრუქტურები „ლეგიტიმური მთავრობის“ სახით, უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი აფხაზეთიდან დევნილებთან შედარებით გაცილებით ნაკლებნი იყვნენ და მათ არ ჰყავდათ უმრავლესობა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამთავრობო ორგანოებში

ითვლება, რომ არც თუ მისი მხარდაჭერის გარეშე ქართველი პარტიზანები კონფლიქტის ზონაში ახორციელებდნენ ოპერაციებს აფხაზური ძალების წინააღმდეგ.

1990–ანი წლების ბოლოსა და 2000–ანი წლების დასაწყისის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები არიან სახელისუფლებო პარტიებისა და პრეზიდენტის ერთ–ერთი ყველაზე საიმედო დასაყრდენი. ითვლებოდა, რომ დევნილთა ლიდერები ცენტრალური ხელისუფლებისათვის უზრუნველყოფდნენ "დევნილი მოსახლეობის კოლექტიურ ხმას" მათი სტატუსისა და პრივილეგიების სანაცვლოდ. დევნილებზე ძლიერი ძეწოლა ხორციელდებოდა, რათა მათ ყოველთვის მიეცათ ხმა მოქმედი ხელისუფლებისთვის. მათ აგრეთვე იცოდნენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი არ წავიდოდნენ საარჩევნო უბნებზე, მათი ხმები მაინც მმართველი პარტიის ყულაბაში აღმოჩნდებოდა[11]. ამ ტენდენციას აძლიერებდა ისიც, რომ 1999 წლის ჩათვლით იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება ჰქონდათ ხმა მიეცათ მხოლოდ პარტიული სიებისათვის[12]. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური ცხოვრებიდან მოწყვეტილი, და, შესაბამისად, თავისი უშუალო სოციალური და პოლიტიკური გარემოცვისაგან იზოლირებული აღმოჩნდნენ.

მიხედავად იმისა, რომ თავად იყო მმართველი გუნდის წევრი, ნადარეიშვილი ცნობილი იყო მთავრობის მწვავე კრიტიკით. ფაქტიურად, ეს იყო ტაქტიკური ოპოზიცია: დევნილთა ინტერესების დაცვის საბაბით, ნადარეიშვილი ისწრაფვოდა სარგებელი მიეღო თავისთვის და თავისი კლანისათვის, მაგალითად, გამსვლელი ადგილები საპარლამენტო კანდიდატების სიებში, და გარკვეულწილად თავისი ელექტორატისათვისაც, მაგალითად დევნილებისათვის სოციალური დახმარების სახით. ამავე დროს, მისი დამოკიდებულება მთავრობისადმი სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა, ხოლო მისი „ოპოზიციონერობა" საგულდაგულოდ იყო დადგმული. გამოხატავდა რა იძულებით გადაადგილებული პირების, როგორც ერთიანი და კონსოლიდირებული საზოგადოებრივი ჯგუფის საჭიროებებსა და მისწრაფებებს, „დევნილი მთავრობა" ცენტრალურ ხელისუფლებას სამშვიდობო პროცესზე ზემოქმედების ბერკეტებით უზრუნველყოფდა. პროექტის ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, პრეზიდენტ შევარდნაძეს ნადარეიშვილი ჭირდებოდა როგორც „საფრთხობელა" აფხაზეთისათვის, იმისათვის, რომ დაეშინებინა აფხაზური მხარე და მოეპოვებინა საერთაშორისო მხარდაჭერა ქართული მხარის პოზიციისათვის. ასეთი განსაკუთრებული ადგილი ქართულ პოლიტიკურ სცენაზე „ლეგიტიმურ მთავრობას" აძლევდა გარკვეულ პრივილეგიებსა და მოქმედების თავისუფლებას. ერთმა კოორდინატორმა გაიხსენა წითელი ჯვრის წარმომდგენლის სიტყვები, რომელმაც 1990–ნი წლების ბოლოს შენიშნა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრა მისთვის არასოდეს ყოფილა პრობლემა, სამაგიეროდ, მან ვერც ერთხელ ვერ მოახერხა ნადარეიშვილის ნახვა.

რა შედეგები გამოიღო იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის ამ ფორმამ? პროექტის მონაწილეების აზრით, იმის მიუხედავად, რომ „ლეგიტიმური მთავრობა" გარკვეულწილად უზრუნველყოფდა დევნილთა მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, ის არ იყო მათი ინტერესების სამართლიანი, დემოკრატიული და ანგარიშვალდებული წარმომადგენელი. არ არსებობდა არანაირი მექანიზმი და პროცედურა, რომლის საშუალებითაც დევნილები „ლეგიტიმურ მთავრობამდე" თავისი პრობლემების მიტანას შეძლებდნენ, ამიტომ ისინი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც „წარმომადგენლობითი". ამის ნაცვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესების დაცვის საბაბით „ლეგიტიმური მთავრობა" რეალურად საკუთარ ინტერესებს ლობირებდა. იძულებით გადაადგილებულ პირებს კი შეეძლოთ გარკვეული მორალური კომპენსაციის მიღება იმის გამო, რომ ისინი სრულად არ იყვნენ იგნორირებულნი, თუმცა ინდივიდუალურ დონეზე ეს არ იძლეოდა არსებით სარგებელს.

ეს იყო წარმომადგენლობითობის იმიტაცია, მაგრამ ისეთი, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყოლოდა დევნილთა საჭიროებების მინიმალური აღიარება და დაკმაყოფილება. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომისა და ომისშემდგომი პოლიტიკური ქაოსისა და სოციალური დაკნინების პირობებში „ლეგიტიმური მთავრობის" სტრუქტურებმა ელემენტარულ დონეზე მაინც უზრუნველყვეს დაცულობის განცდა იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ნაწილისათვის.

11 პროექტის მონაწილეები დაეთანხმნენ იმ მოსაზრებას, რომ ხმის მიცემაზე უარის თქმა ზოგიერთი დევნილის მხრიდან პროტესტის ფორმაც შეიძლება ყოფილიყო (და ალბათ იყო კიდეც). ეს კი შეიძლება განხილული იყოს როგორც პოლიტიკური მონაწილეობის ერთ–ერთი ფორმა. მოცემული სიტუაცია ქმნის აშკარა პარადოქსს, როცა ადამიანები მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესში პროცესში არმონაწილეობის გზით. ხმის მიცემაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, არის პოლიტიკური აქტი, მაგრამ არჩევნების შესაძლო ფალსიფიკაციის დონის გათვალისწინებით დევნილებს კარგად ესმოდათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ისინი უარს იტყვიან ხმის მიცემაზე, მათი „ხმა" მაინც მმართველ პარტიას ჩაეთვლებოდა.

12 პარტიული სიებისათვის ხმის მიცემა, რომელიც ცნობილია როგორც არჩევნების პროპორციული სისტემა, ნიშნავს, რომ მანდატებს ღებულობენ კანდიდატები პარტიის ან საარჩევნო ბლოკის საერთო სიიდან მათი რიგითობის მიხედვით პარტიის მიერ არჩევნებში მიღებული ხმათა რაოდენობის პროპორციულად. მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში არჩეულად ის კანდიდატი ითვლება, რომელიც ხმათა უმრავლესობას მიიღებს იმ საარჩევნო ოლქში, საიდანაც ის იყრის კენჭს. ამიტომ, მაჟორიტარი დეპუტატები ვალდებულნი არიან იქონიონ მუდმივი კავშირები საკუთარ ამომრჩევლებთან და უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე.

ღვთისმშობლის ხატი და საქართველოს სახელმწიფო დროშა (რომელიც ამავდროულად მმართველი პარტიის – გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის – დროშაა) კოლექტიური ცენტრის ერთ-ერთ ოთახში.

„იმ დროისათვის ამ სტრუქტურების მუშაობა შეძლება პოზიტიურად შეფასდეს. თუმცა, დროთა დანმავლობაში ეს სტრუქტურები, თამაზ ნადარეიშვილის სახით, გადაიქცა დევნილთა ერთადერთ წამომადგენლად. მას უნდოდა მონოპოლიის დამყარება ადამიანთა ამ ჯგუფსა და იმ პოლიტიკურ რესურსზე, რომელსაც ისინი წარმოადგენენ. რათა მას შესძლებოდა ამ რესურსის მიწოდება თავისი მფარველებისათვის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში“ – პროექტის კოორდინატორი

„ჩვენ შევქმენით „ვირტუალური“ აფხაზეთი ამ სტრუქტურების შენარჩუნებისა და განახლების გზით. შესაძლებელია, ეს სწორი მიდგომა იყო იმ დროისათვის საქართველოში არსებული ქაოსის პირობებში. იმ დროს ეს სტრუქტურები იყო რესურსების, ხელფასებისა და პირველადი მოხმარების საგნების, მაგალითად, საპნის მიღების ძირითადი საშუალება. ოღონდ, თანდათან ეს „ვირტუალური“აფხაზეთი გადაიქცა წინააღმდეგობად დევნილთა ინტერესების გამოხატვის გზაზე, კორუფციის წყაროდ და ფუნქციადაკარგულ ორგანოდ სახელმწიფოს შიგნით“ – პროექტის კოორდინატორი.

„ლეგიტიმური სტრუქტურებისა“ და მისი მხარდამჭერი ადმინისტრაციული რესურსის ფუნქციონირების გასაგრძელებლად საჭირო იყო იძულებით გადაადგილებული პირების, როგორც ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის, არსებობის ხაზგასმა. ამიტომ ნადარეიშვილი და „ლეგიტიმური მთავრობის“ სხვა წევრები დევნილთა ინტეგრაციის კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ. ინტეგრაციას მოყვებოდა მათი ელექტორატის დანარჩენ საზოგადოებათან „შერევა“ და მათი გავლენების გაქრობა. ეს სქემა მოითხოვდა აგრეთვე ცალკე ხელმძღვანელობის შექმნას – მხოლოდ იძულებით გადაადგილებული პირების რიგებიდან გამოსულ ლიდერებს შეეძლოთ მათი ინტერესების გამოხატვა. მოცემული სისტემის არსებობა შესაძლებელი იყო მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრებიდან დევნილთა პერმანენტული გამოთიშვით. იძულებით გადაადგილებულ პირებს ზემოქმედების გარკვეული ბერკეტების უზრუნველყოფა შეეძლოთ მხოლოდ იქამდე, სანამ ისინი შეჭირვებულებად და საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესებიდან გარიყულებად გამოიყურებოდნენ. წარმომადგენლობითობის ასეთი ფორმის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირებსა და საზოგადოებას შორის დიტანციის შემცირება, ანუ სხვა სიტყვებით, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია.

3.2 დევნილთა ინდივიდუალური მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში

მალევე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის იანვარში, „დევნილმა“ აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ნადარეიშვილს უნდობლობა გამოუცხადა და ის იძულებული იყო გადამდგარიყო. ამის შემდეგ ეს თანამდებობა დაიკავა მმართველი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის, აქტივისტმა თემურ მჟავიამ. საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის თერთმეტკაციან დეპუტაციას

დაატოვებინეს მანდატები. მათი ადგილები პარლამენტში ვაკანტური დარჩა, რაც პარლამენტში დევნილების "წარმომადგენლობის" დასასრულზე მიუთითებდა. ამის პარალელურად, მკვეთრად შემცირდა პარტიზანული ოპერაციების იტენსივობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ახალი მთავრობის პირობებში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო გახდა ის ძირითადი უწყება, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობდა. ამ ცვლილებების ფონზე „ლეგიტიმურმა მთავრობამ" ფაქტიურად მთლიანად დაკარგა თავისი წინანდელი ძალაუფლება. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანდა თბილისის მაგალითზე, თუმცა რეგიონებში ის ისევ სარგებლობდა გარკვეული გავლენებით იმის გამო, რომ მისმა წარმომადგენლებმა შეძლეს მნიშვნელოვანი პოსტების შენარჩუნება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში. ამის პარალელურად, ახალმა ხელისუფლებამ წამოიწყო დებატები ინტეგრაციის კონცეფციასთან, როგორც დარუნებასთან შესაბამის და არა ურთიერთგამომრიცხავ პოლიტიკასთან, დაკავშირებით. ეს მიდგომა მოწონებული იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოში კონფლიქტების გადაჭრის მშვიდობიან და გრძელვადიან მიდგომებს.

ამ მიდგომებმა განაპირობა იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიტიკური მონაწილეობის წინა მოდელის რადიკალური შეცვლა. დევნილებს უკვე აღარ ყავდათ წარმომადგენლობა არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცალკე სტრუქტურების სახით. „ლეგიტიმურმა მთავრობამ" დაკარგა ქმედუნარიანობა მას შემდეგ, რაც მისი სტრუქტურები თავიდან დაკომპლექტდა მმართველი პარტიის მხარდამჭერებითა და აქტივისტებით. მისი უსარგებლობისა და მხოლოდ სიმბოლური ხასიათის ნათელი დადასტურება გახდა 2006 წელს „ლეგიტიმური მთავრობის" კოდორის ხეობაში გადატანა იმის შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიაზე კანონიერების აღდგენის ოპერაცია განახორციელა.

კოდორის ხეობა, რომელშიც 2008 წლამდე 2000–მდე ადამიანი ცხოვრობდა, მდებარეობს მოშორებულ მთიან რეგიონში. ძნელად თუ მოიძებნება ადგილი, რომელიც ასეა დაშორებული რეალური ხელისუფლებისა და გავლენებისაგან. ამავე დროს, კოდორის ხეობა აფხაზეთში მდებარეობს. „ლეგიტიმური მთავრობის" გადასვლა თბილისიდან კოდორის ხეობაში ქმნიდა „ლეგიტიმური" აფხაზური მთავრობის აფხაზეთის ტერიტორიაზე ფუნქციონირების ილუზიას. ამ სიმბოლურობის დასადასტურებლად კოდორის ხეობას „ზემო აფხაზეთი" დაერქვა.

ამავე დროს, პრივატიზაციისა და ურბანული რეკონსტრუქციის პროგრამების ენერგიული განხორციელების ფონზე მრავალი იძულებით გადაადგილებული პირი იყო გამოსახლებული ყველაზე თვალსაჩინო კოლექტიური ცენტრებიდან, კერძოდ კი თბილისის, ბათუმისა და სხვა ქალაქების ყოფილი საბჭოთა ცენტრალური სასტუმროების შენობებიდან, რომლებშიც ისინი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცვლილებები აუცილებლად იყო დაკავშირებული იძულებით გადაადგილებული პირების პოლიტიკური წარმომადგენლობის გაფართოებასთან. ეს უფრო საზოგადოებაში ალტერნატიული ძალაუფლების ცენტრების გაუქმებისკენ იყო მიმართული. ამაზე მიანიშნებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამი ჟურნალ „ნიუსვიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში 2006 წლის 29 მაისს: „ჩვენ მაქსიმალურად შევამცირეთ სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ამ ტერიტორიებით იყვნენ დაკავებულნი. ჩვენ გამოვიყვანეთ დევნილები სასტუმროებიდან,, რათა უფრო მშვიდად მივუდგეთ პრობლემას, რათა არ იყოს ზედმეტი ლობისტური ზეწოლა". ამ ზომების გამოყენებით მოხერხდა კორუფციის აღმოფხვრა და ინტეგრაციის დემონიზაციის შეწყვეტა. ამასთან, „ლეგიტიმური მთავრობა" თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ არ მოხდა წინა მოდელის სტრუქტურირებული ალტერნატივის შეთავაზება.

იძულებით გადაადგილებულ პირებს ხელს აღარ უშლიდა „ლეგიტიმური მთავრობის" მონოპოლია მათ პოლიტიკურ მონაწილეობაზე. თუმცა კორუმპირებული, ქმედუუნარო, მაგრამ მაინც მრავალპოლუსიანი სისტემა ეფექტურად შეცვალა ერთპარტიულმა მონოპოლიამ, რომლისთვის წინააღმდეგობის გასაწევად დევნილები მზად არ აღმოჩნდნენ. შედეგად მივიღეთ სიტუაცია, რომლის დროსაც პროექტის ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით „იძულებით გადაადგილებულ პირთა ხმა საერთოდ აღარ ისმოდა".

ამასთან, გარდაუვალი დაბრუნების თემა ისევ ისმოდა ოფიციალური პირების გამოსვლებში. მართლაც, უახლოეს მომავალში დაბრუნების პირობა პრეზიდენტ სააკაშვილის კამპანიის ცენტრალური მოტივი იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მაშინაც კი, როდესაც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში აღებული იყო კურსი ინტეგრაციაზე, როგორც სრულიად მისაღებ და განხორციელებად პოლიტიკაზე, დაბრუნების იდეის პოპულარიზაცია აგრძელებდა საარჩევნო დივიდენდების მოტანას. ამის შედეგად, იძულებით გადაადგილებული პირები აღმოჩნდნენ საპირისპირო გზავნილების ზემოქმედების ქვეშ. ერთის მხრივ, პრეზიდენტი ისევ მოუწოდებდა მათ დაეჯერებინათ უახლოეს მომავალში დაბრუნების

შესაძლებლობა, მეორეს მხრივ, მათი პრობლემებით დაკავებული მთავარი სამთავრობო სტრუქურა ხელს უწყობდა მათ ინტეგრაციას. პოლიტიკური მონაწილეობის დონის გაზრდა არ არის იოლი ამოცანა და განსაზღვრასაც ადვილად არ ექვემდებარება. ის იწვევს ფართომასშტაბიანი და გრძელვადიანი ცვლილებების პროცესს საზოგადოების ფართო ფენების ცნობიერებაში. პოსტსაბჭოთა სივრცის კონტექსტში ეს გულისხმობს მნიშვნელოვან ძვრებს საყოველთაო სკეპტიციზმიდან პასუხისმგებელი მთავრობის გამოჩენის ახალ იმედებამდე. უფრო მეტიც, პოლიტიკური წარმომადგენლობის საყოველთაო განუვითარებლობის პირობებში ადამიანები თვლიან, რომ მარგინალური ჯგუფების, მაგალითად ისეთების, როგორიც დევნილები არიან, უფლებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

კოორდინატორებმა პროექტის მიზნები სხვადასხვანაირად განსაზღვრეს. ზოგიერთმა მათგანმა ხაზი გაუსვა მის არადირექტიულ ხასიათს, რაც საშუალებას აძლევდა იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეღოთ ინფორმირებული და გააზრებული გადაწყვეტილება საკუთარი მომავლის შესახებ.

„ამ პროექტში ჩემი მიზანი იყო დამერწმუნებინა დევნილები, რომ მათი ბედი მათ ხელშია და რომ მათ თავად შეუძლიათ საკუთარი მდგომარეობის შეცვლა ორგანიზებულობისა და ერთობლივი მუშაობის, და არა კალაშვიკოვის ავტომატის საშუალებით. ძირითადი იდეა იყო ის, რომ ხალხს თავად უნდა მიეღო მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარების გააზრებული გადაწყვეტილება“ – ქსელის წევრი.

პროექტის კიდევ ერთ მიზნად შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დევნილთა ინტეგრაციის დაჩქარება, რათა ბოლო მოეღოს მათით მანიპულირებას, დაკავშირებულს გარკვეული სტრუქტურების შენარჩუნებასთან. ეს სტრუქტურები, როგორც მე–3 თავშია ნაჩვენები, ფართოდ ასოცირდება პოლიტიკურ პასიურობასა და კორუფციასთან. თუმცა, ყველა დაეთანხმა იმას, რომ მოცემული პრობლემების მოგვარების პროცესი დროსა და მოთმინებას მოითხოვს.

„ყოველ შემთხვევაში, პროექტმა გამოკვეთა გზა, რომელიც უნდა გავიაროთ, გამოავლინა ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის გრანდიოზულობა და მუდმივი და გრძელვადიანი ქმედებების აუცილებლობა. ის პროცესის დასაწყისი გახდა, მაგრამ მუდმივი ძალისხმევის გარეშე ეს დასაწყისი დასაწყისადვე დარჩება“ – ქსელის მონაწილე.

პროექტის მიზნები და მიღწევები

4

4.1 პროექტის მოკლე აღწერა

პროექტი მოიცავდა საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებს:

- მენტორინგი – პროექტის ხელმძღვანელები, გამოცდილი აქტივისტები, ქსელის წევრ ორგანიზაციებთან ატარებდნენ საკონსულტაციო შეხვედრებს. 35-ზე მეტი საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარდა პროექტის მიმდიარეობისას თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოსა და ზუგდიდში;
- საგანმანათლებლო პროგრამა: საზოგადოებრივი აქტივობების ფორმებისა და სამოქალაქო ინტერესების დაცვის მეთოდების შესწავლა (ადვოკატირება და აქტივიზმი). სულ ჩატარდა ორი სემინარი, რომლებსაც უძღვებოდა ლატვიის პარლამენტის დეპუტატი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი;
- ადვოკატირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
- ქსელური შეხვედრები, რომლებშიც ქსელის წევრები მონაწილეობდნენ. პროექტის განმავლობაში შვიდი ასეთი შეხვედრა ჩატარდა. თითოეული შეხვედრა გრძელდებოდა ორ ან სამ დღეს და ეძღვნებოდა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრის განხილვასა და შესაბამისი სტრატეგიების გამომუშავებას.
- ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობდა კონკრეტულ ჯგუფებში აქტივიზმის გავრცელებას ქვედა დონეზე. ეს მოიცავდა დახლოებით 25 ტრენინგს ხალგაზრდებისათვის, 24 შეხვედრას ყოფილ მეომრებთან და სემინარებს ქალებისათვის;
- ორი ყოველკვირეული რადიო გადაცემა, რომელიც გადიოდა რადიო „ათინათის“ ეთერში, ზუგდიდში. ერთ-ერთი მათგანი კონკრეტულად იყო მიმართული დევნილთა პრობლემებზე, როგორიცაა, მაგალითად, სკოლა დევნილი ბავშვებისათვის, აფხაზეთში ქართველთა სახლების გაყიდვა და დევნილთა რეგისტრაციის საკითხები. პროგრამის ფორმატი ითვალისწინებდა ინტერვიუს მოწვეულ სტუმართან, მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენელთან შესაბამისი სამინისტროებიდან, არასამთავრობო სექტორის აქტივისტებთან და ადამიანის უფლებათა ექსპერტებთან, და რიგითი მსმენელების სატელეფონო ზარებს სტუდიაში. მეორე პროგრამა აცნობდა მსმენელებს იმ დევნილებს, რომლებმაც მათთვის სასურველ სფეროში კარიერულ წარმატებას მიაღწიეს.. ჟურნალისტური ორგანიზაცია „პოსტფაქტუმის“ რადიოეთერში გავიდა სპეციალურად დევნილების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი 22 ანალიტიკური რადიო პროგრამა;
- გაიმართა კონკრეტული თემებისადმი მიძღვნილი საჯარო განხილვების სერია. მაგალითად, ჩატარდა 29 დისკუსია საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის განსახილველად. მოეწყო სტუდია რე–ს მიერ კონფლიქტის თემისადმი მიძღვნილი ფილმების ათი საჯარო ჩვენება. ამას გარდა, სტუდია რე–ში ჩაიწერა სხვადასხვა თემისადმი მიძღვნილი რვა დისკუსია;
- და ბოლოს, ორგანიზებული იყო შეხვედრები ქართველ პოლიტკოსებთან და მთავრობის წევრებთან, საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებთან და 2008 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარლამენტის წევრობის მაჟორიტარ კანდიდატებთან

4.2 ქსელური მუშაობა

ორგანიზაციების ქსელი, რომელიც ახორციელებდა პროექტს, შეიქმნა 2000 – 2001წლებში და იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფრო ფართო სპექტრის ნაწილი გახდა. ამიტომ პროექტი ისე იყო ჩაფიქრებული, რომ მისი რეალიზაცია განეხორციელებინა ორგანიზაციების ქსელს უკვე არსებული რესურსებისა და სუბიექტების გამოყენებით. აქ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ღონისძიებების თანმიმდევრობას. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით „პროექტს არ შეუძლია შექმნას ქსელი, მაგრამ პროექტს შეუძლია ქსელის რესურსების გამოყენება იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების კონკრეტული ეტაპის დამახასიეთებელი ამოცანების ეფექტურად გადასაწყვეტად“.

ქსელის ფორმირებისა და ინსტიტუციონალიზაციის პლუსებსა და მინუსებთან დაკავშირებით გამოთქმული იყო განსხვავებული მოსაზრებები. ქსელს დღემდე არ აქვს სახელწოდება – ან „ბრენდი“ – და ისეთი პროცედურების ფორმალიზებული მექანიზმები, როგორიცაა, მაგალითად, ახალი წევრების მიღება. ქსელის წევრობა ემყარება ორ პრინციპს: კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიების სერიოზულ სურვილს

Source: Conciliation Resources

ქსელის წევრები და „შერიგების რესურსების" წარმომადგენლები 2008 წლის ივლისში გამართულ შეხვედრაზე. ფოტო „შერიგების რესურსების" არქივიდან

და დევნილებთან მუშაობის გამოცდილებას. კოორდინატორების ნაწილი თვლიდა, რომ ქსელის მოქნილი და თავისუფალი ხასიათი მისი უპირატესობაა – „ჩვენ არ გვინდა პროტოკოლის მონები გავხდეთ". თუმცა, სხვა მონაწილეები წუხილს გამოთქვამდნენ ქსელის სახელის არქონის გამო. ისინი თვლიდნენ, რომ როგორც შედეგი, ეს ართულებდა გარეშე პირებისათვის მათ მუშაობაში გარკვევას. ისინი თვლიდნენ, რომ ქსელი უფრო მოიპოვებს აღიარებას, თუკი მას ექნება ერთიანი, შეთანხმებული სტრუქტურის უფრო მკაფიო მახასიათებლები.

პროექტის მონაწილე იყო ქსელის წევრი თორმეტი ორგანიზაცია. მაგრამ თავად ქსელი გაცილებით მეტ ორგანზაციას აერთიანებს. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, ხელისუფლებასთან ურთიერთობის დროს სწორედ ზოგიერთი „უმცროსი" პარტნიორი აღმოჩნდა გაცილებით თანმიმდევრული და მამაცი.

პროექტის განხორციელების დროს ცხადი გახდა ქსელური მუშაობის რამდენიმე უპირატესობა. ქსელი რეგიონებში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ქმედითი საშუალება გახდა. ქსელის წევრები გადასცემდნენ ადგილებზე შეგროვებულ ინფორმაციას და ხელს უწყობდნენ ნდობის განმტკიცებას თბილისის ორგანიზაციებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის. ქსელი ასევე ამცირებდა დაფინანსების ციკლური ხასიათის ნეგატიურ ეფექტს და აგრძელებდა მორალურ მხარდაჭერასა და მოტივაციის სტიმულირებას ფინანსური პრობლემების მიუხედავად. ქსელი, რომელიც აგრძელებდა ჩართულობის უზრუნველყოფასა და მორალური მხარდაჭერის აღმოჩენას, ეხმარებოდა ორგანიზაციებს ფინანსირების „მკვდარი სეზონის" გადატანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგიერთ ორგანიზაციას გაუჭირდებოდა ასეთ პირობებში გადარჩენა. ქსელში მონაწილეობა ასევე ხელს უწყობდა ჯანსაღ კონკურენციას და თანამშრომლობას, ვინაიდან ქსელის წევრები უზიარებდნენ ერთმანეთს უნარებსა და რესურსებს და, სანაცვლოდ, სწავლობდნენ მათგან იმას, რაც თვითონ გამოცდილი არ ჰქონდათ.

მუშაობის პროცესში ქსელი ასევე გადაიქცა შედარების მეთოდზე დაფუძნებული სწავლების მექანიზმად. ქსელის საშუალებით შესაძლებელია პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული ინდივიდუალური გამოცდილების შესწავლა და განზოგადება ამ გამოცდილების შემდგომი ფართოდ გამოყენების მიზნით. ამ გაგებით, ქსელმა უზრუნველყო ანალოგიური პრობლემების მოგვარების გამოცდილების შედარებისა და გადაცემის მექანიზმების აწყობა პროექტის

მოქმედების არეალში. პროექტის ერთ–ერთმა კოორდინატორმა აღნიშნა:

> „მე გაოცებული ვიყავი პროექტის ფარგლებში დევნილთა პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებით. ისინი თბილისსა და რეგიონებს შორის განსხვავებების გააზრებული ძიებით იყვნენ დაკავებულნი. პროექტის დამთავრების მომენტისათვის მათ შეეძლოთ განესაზღვრათ სისტემური თვისებები, რომლებიც განაპირობებენ სიტუაციის თავისებურებას, მაგალითად ზუგდიდში, და არ აეხსნათ ეს თავისებურებები თავად ზუგდიდის უნიკალურობით. ეს უკვე მნიშვნელოვანი წინსვლა იყო“

ასევე ადგილი ჰქონდა ამბიციების სერიოზულ ცვლილებებს. პროექტის დასაწყისში არასამთავრობო ორგანიზაციებს ერჩივნათ შემოფარგლულიყვნენ მოქალაქეების მხოლოდ გარკვეულ კატეგორიებთან მუშაობით: ახალგაზრდებთან, ქალებთან ან ვეტერანებთან. პროექტის განხორციელებისას მათ სურვილი გაუჩნდათ გაეფართოებინათ სამიზნე აუდიტორია და ემუშავათ იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვა ჯგუფებთანაც.

ზოგ შემთხვაში ქსელი ასრულებდა გაუაზრებელი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების შედეგების თავიდან ასაცილებელი ერთგარი „სწრაფი რეაგირების“ მექანიზმის ფუნქციებს. ასეთი „რეაგირების“ ერთ–ერთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 2007წ. 24 აპრილს ქ. თბილისში სამართალდამცავი ორგანოების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფრიდან ძალის გამოყენებით გამოსახლების ფაქტი (ყოფილი სპეცავტომეურნეობის შენობა შანდორ პეტეფის ქუჩაზე). ქსელმა სპეციალური განცხადებით მიმართა საპარლამენტო კომისიას, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს. განცხადებაში არა მარტო დაგმობილი იყო აღნიშნული ფაქტი, არამედ მითითებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების სპეციალური წესების შემუშავების აუცილებლობა, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა უწყება და კერძო პირი. განცხადებაში დასმული იყო საკითხი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ხელახალი გადასინჯვის მიზანშეწონილობის შესახებ, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების გამო ქონებრივი დავების დროს პოლიციას, კერძო მფლობელის ინტერესების დაცვის მიზნით, უფრო მეტი უფლებამოსილება ენიჭება, ვიდრე სასამართლოს. ამის საფუძველზე სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა ასეთ შენობებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დარღვევას. ქსელის განცხადება განიხილა საპარლამენტო კომისიამ, რომელზეც აგრეთვე გამოითქვა უკმაყოფილება იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა განსახლების პოლიტიკისადმი არსებული მიდგომების მიმართ. შემდგომ ამისა, გამოიცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი ბრძანება (№ 747, 2007წ. 24 მაისი), რომელშიც ხაზგასმულია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა გამოსახლების ყოველი კონკრეტული შემთხვევა უნდა იყოს შეთანხმებული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან. ამ ბრძანებიდან გამომდინარე, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო სამართლებრივ სივრცეში აღმოჩნდა და განსახლების პროცესში იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა უფლებების დაცვის გარანტი გახდა.

სამშვიდობო საქმიანობა ყოველთვის იწვევდა არაერთგვაროვან რეაქციას. ქსელურ მუშაობაში მონაწილეობა ერთგვარი დაცვა და სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების საშუალება იყო, როცა ქსელის ზოგიერთ წევრს უშიშროების ორგანოებში „სასაუბროდ“ იბარებდნენ, ან როცა მათი სიტყვები მახინჯდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ქსელი კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტის მომხრე საზოგადოების იმ ნაწილის სახე იყო, რომელიც არ უშინდებოდა იმას, რომ ასეთ პოზიციას ძალადობრივი გადაწყვეტის მომხრეთა აგრესიული კრიტიკა შეიძლება გამოეწვია.

ამის მიუხედავად, ქსელს ჰქონდა თავისი სუსტი მხარეები. პროექტის ერთ–ერთმა კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ქსელის წევრებს ზოგჯერ ინიციატივა აკლდათ და ელოდებოდნენ კოორდინატორების, ან „შერიგების რესურსების“ მითითებებს იმის ნაცვლად, რომ დამოუკიდებლად ემოქმედათ. ეს მიგვანიშნებს გრძელვადიანი მუშაობის აუცილებლობაზე ქსელის წევრების შესაძლებლობების იმ დონეზე გასავითარებლად, რომ მათ გარე დახმარების გარეშე შეძლონ არსებობა.

4.3 იძულებით გადაადგილებულ პირებთან–დევნილებთან მუშაობა

პროექტის მსვლელობისას გამომჟღავნდა დევნილებთან მუშაობის ზოგიერთი ძირითადი ასპექტი. ნდობა აბსოლუტურად აუცილებელია დევნილებთან მუშაობისას, რადგან მათ, გადატანილი სირთულეებიდან გამომდინარე, გამძაფრებული აქვთ მგრძნობელობა მათით მანიპულირების შესაძლებლობის მიმართ. ამგვარი თავდაცვითი პოზიცია, რომელიც წარსული მწარე გამოცდილების შედეგია, შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ხანგრძლივი და სიღრმისეული მუშაობის მეშვეობით. ეს კონტექსტი იძლევა სერიოზული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იმაზე, თუ როგორ უნდა აიგოს მუშაობა დევნილებთან. მაგალითად, ქსელის მუშაობის გამოცდილება აჩვენებს, რომ კარგ შედეგს იძლევა დევნილთა რამდენიმე პრობლემაზე ერთდროული მუშაობა.

Source: Conciliation Resources

ქსელის წევრების შეხვედრა 2008 წლის ივლისში. ფოტო „შერიგების რესურსების“ არქივიდან

„თუ ვიღაცას სჭირდება ტანსაცმელი და შენ მიგაქვს ინფორმაცია, ეს სრულიად არ არის საკმარისი. თუკი ვინმეს სჭირდება ინფორმაცია და შენ მიგაქვს შაქარი, ეს სრულიად არ არის საკმარისი. აუცილებელია ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ამ ადამიანების საჭიროებებს. ეს ადამიანები ხასიათდებიან უნდობლობის ძალიან მაღალი ხარისხით და მათ მუდმივად ეშინიათ, რომ ვიღაც გამოიყენებს მათ თავისი მიზნებისათვის.. შენ მუდმივად უნდა აჩვენებდე, რომ მუშაობ მათთვის და არა საკუთარი თავისთვის“ – ქსელის მონაწილე.

ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე საუბარი, როგორიცაა პოლიტიკური მონაწილეობა, უნდა ხდებოდეს თანდათანობითი და გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. უგულისყურო დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი ცნებების აღრევა, მაგალითად პოლიტიკური მონაწილეობისა და ოპოზიციის რიგებში გაწევრიანების გაიგივება.

დამოკიდებულებამ, რომ იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები, მთლიანად კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში ცხოვრობენ, შეიძლება გავლენა იქონიოს მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროგრამების მიდგომებზე. კოლექტიური ცენტრები ასეთი სამუშაოების ჩატარების ბუნებრივი ადგილებია, მაგრამ ის დევნილები, რომლებიც კოლექტიური ცენტრებში არ ცხოვრობენ, შეიძლება განზე დარჩნენ. ეს ეხება როგორც დევნილების პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებს, ასევე დონორებს, რომლებიც შესაბამის პროექტებს აფინანსებენ.

„მთავრობისათვის უფრო ადვილია დევნილებისთვის დახმარების ორგანიზება იქ, სადაც 500 ადამიანი ერთად ცხოვრობს. გაცილებით ძნელია დევნილთა მცირე, გაფანტული ჯგუფების მოძიება, რომლებსაც შეიძლება დახმარება სხვებზე მეტად ესაჭიროებათ. დონორი ორგანიზაციების ლოგიკა ეფუძნება ანალოგიურ პრინციპს. დონორებს ჭირდებათ გაზომვადი და შესამჩნევი ეფექტი, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების დახმარების პროექტებს. ითვლება, რომ კოლექტიურ ცენტრებსა და ბანაკებს მიღმა მცხოვრები დევნილები უფრო მეტად არიან ინტეგრირებულნი. მაგრამ ასეთი მიდგომა სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს: მათ შეიძლება სხვებზე მეტად უჭირდეთ, მაგრამ მათი პრობლემები შეუმჩნეველი რჩება“ – ქსელის მონაწილე.

4.4. სამთავრობო სტრუქტურებთან მუშაობა

ქსელური მუშაობა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების ორგანოებზე ზემოქმედების მეტ საშუალებას იძლევა. მთელი რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ფრონტით გამოსვლა - ეს სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია წინა პრაქტიკასთან შედარებით, როდესაც ცალკეული მოქალაქეები ინდივიდუალურად მიმართავდნენ სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებებს. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, ”როდესაც

საჯარო მოხელეებს საქმე აქვთ ქსელთან, ისინი იძულებულნი არიან დასხდნენ და მოისმინონ". ქსელური მუშაობით ადვილი გახდა ოფიციალურ სტრუქტურებთან მოხვედრა. უფრო მეტიც, ქსელის წევრებმა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, შესძლეს რა კარგი ურთიერთობების დამყარება ოფიციალურ პირებთან, წარმატებით დაეხმარნენ სხვებსაც, რომ იგივე საკითხებში მათაც მიეღოთ სათანადო დახმარება. ისეთ პირობებში, როდესაც სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ურთიერთობებში პირადი კავშირები კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, ეს სერიოზული მიღწევა იყო.

> "ჩვენ ვისწავლეთ ჩვენი პრობლემების ფორმულირება და საჯარო მოხელეებთან ურთიერთობა როგორც ერთიანმა ქსელმა. ჩვენი მრავალრიცხოვნება მათში პატივისცემას იწვევდა და მათ ესმოდათ, რომ ქსელი - ინფორმაციის სანდო გამტარი იყო. ყოველივე, რაც მათ მიერ ერთ, კონკრეტულ ადგილზე კეთდებოდა, ქსელის მეშვეობით საჯარო ხდებოდა. ეს საკმარისად ეფექტური საშუალება აღმოჩნდა დროის გაყვანის - ჩინოვნიკების აგრერიგად საყვარელი ტაქტიკის - წინააღმდეგ. მაგალითად, საკმარისი იყო მათ განეცხადებინათ, რომ რომელიღაც საკითხი მათი კომპეტენციის ჩარჩოებს სცილდებოდა, ქსელის დახმარებით ამის გადამოწმება თბილისში ადვილად ხერხდებოდა." - ქსელის წევრი

თბილისში ქსელის მეშვეობით შესაძლებელი იყო უშუალო კონტაქტის დამყარება მთავარ სახელმწიფო სტრუქტურასთან- ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან, რომელიც ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა პრობლემებით არის დაკავებული.

ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ორგანიზაციების მიერ (მათ შორის, არა მარტო პროექტში ჩართულების) პოლიტიკის შემუშავების პროცესზე ზემოქმედების მეტნაკლებად წარმატებულ მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ პერიოდი, 2005 წლის ზაფხულიდან 2006 წლის თებერვლის ჩათვლით, როდესაც მუშავდებოდა იძულებით გადაადგილებული პირების საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრატეგია. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში ოთხი ქვეკომისია მუშაობდა: ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი და განსახლების საკითხებზე. გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები უზრუნველყოფდნენ რა დევნილების პირდაპირ ჩართულობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ქვეკომისიების მუშაობაში მომხსენებელთა როლში გამოდიოდნენ. ფოკუს-ჯგუფები იძლეოდა დევნილების პრობლემების ფორმულირებისა და სახელმწიფო სტრატეგიისათვის რეკომენდაციების გათვალისწინების საშუალებას.

თუმცა, საქართველოს გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სტრატეგიის ქაღალდზე შექმნას ვიდრე მის პრაქტიკულ განხორციელებას. სტრატეგიის მიღებამ პოზიტიური გამოხმაურება უზრუნველყო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიან გადაჭრისაკენ მოგვიწოდებდნენ. სტრატეგიის მიღება შეიძლება კონსტრუქციულ ნაბიჯად ჩაითვალოს როგორც კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, ასევე საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების კუთხით, საქართველოს სახელმწიფოს მიერ გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში მოვალეობის შესასრულებლად.

ამავე დროს, ძირითადად რესურსების უკმარისობისა და ქვეყანაში პოლიტიკური მოვლენების მიზეზით, საქართველოს ხელისუფლების მიერ 2006 წელს მიღებული სტრატეგია ცხოვრებაში სათანადო დონეზე ხორცშესხმული არ ყოფილა. 2008 წლის აგვისტოში მომხდარმა ომმა ხელი შეუშალა 2008 წლის ივლისის თვეში პარლამენტში შეტანილი სამოქმედო გეგმის განხილვას. პროექტის ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, "ჩვენ კარგა ხანია დავკარგეთ იმედი, რომ სტრატეგია რეალიზებული იქნებოდა".

თბილისსა და რეგიონებს შორის გამოიკვეთა ვერტიკალი. საქართველოში ადგილობრივი კლანური და ცალკეული პიროვნებების ძლიერი გავლენა მეტნაკლებად ყველგან იგრძნობა, მაგრამ რეგიონებში ის უფრო ძლიერია. როგორც კოორდინატორებმა აღნიშნეს, "დევნილი ხელისუფლება" გარკვეულ რეგიონებში კვლავაც იყენებს თავის მნიშვნელოვან გავლენას. მაგალითად იმერეთში. სხვა რეგიონებში, იგივე სამეგრელოში, ადგილობრივი ხელისუფლება იქაური კლანური კონტროლის ქვეშ იმყოფება და ამიტომაც ნაკლებად ექვემდებარება ლობირებას. (იხილეთ თავი 5)

4.5. ადვოკატირების ჯგუფი

ქსელის შემადგენლობაში შეიქმნა ადვოკატირების - სამოქალაქო ინტერესების დამცველი ჯგუფი. მის ფუნქციებში შედიოდა ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. ასევე, ეს ჯგუფი უნდა დახმარებოდა გადაადგილებულ პირებს, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ პროცესებში, საკუთარი სოციალური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში. კერძოდ, ჯგუფის წინაშე შემდეგი მიზნები იდგა:

- ადგილობრივ დონეზე იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების

გამოვლენაში ქსელის მუშაობის ეფექტურობის ანალიზი, პრობლემების დასაძლევი მეთოდების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და ლობირება სახელმწიფო სტრუქტურებში;
- შეხვედრების ორგანიზება ოფიციალურ პირებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან უშუალოდ დევნილების საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
- პირდაპირი, ორმხრივი კავშირის შექმნა ხელისუფლებას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და გადაადგილებულ პირებს შორის.

ჯგუფის პრაქტიკული საქმიანობა შემდეგში გამოიხატებოდა:

1. პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე სახელმწიფო სტრუქტურების ინფორმირება, ურთიერთდახმარების აუცილებლობის ხაზგასმით და შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენით. სახელმწიფო სტრატეგიისა და ინტეგრაციის პოლიტიკის, დევნილთა სოციალური და საცხოვრებელი პრობლემების განსახილველად ორგანიზებულ იქნა შეხვედრების სერია. ამ შეხვედრებზე ადვოკატირების ჯგუფი გამოდიოდა დევნილთა პრობლემებისადმი დიფერენცირებული მიდგომის მომხრედ და ხაზს უსვამდა იმას, რომ დევნილების სოციალური და საცხოვრებელი პრობლემების გადაჭრაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებასა და ადამიანურ რესურსებს. ამის პასუხად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ჯგუფს შესთავაზა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა პრობლემების გადასაჭრელი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავების პროცესში მათ საკუთარი რეკომენდაციები და წინადადებები მოემზადებინათ.

2. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მონაწილეობით პროექტის მიზნებისა და ამოცანების პრეზენტაციის ჩატარება რეგიონებში. აღნიშნული იყო, რომ დასაქმების პრობლემა, სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სოციალური დახმარების სუსტი დონე რეგიონებში გაცილებით სერიოზულ ხასიათს ატარებს. მაგრამ უფრო მწვავედ დგას ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის პრობლემა.

3. ჯგუფის წევრები ურჩევდნენ დევნილ მოსახლეობას, რომ მათ მოეთხოვათ გაცილებით მეტი ინფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსათვის, დევნილთა სხვადასხვა პრობლემების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ესარგებლათ სამინისტროს "ცხელი ხაზით." ჯგუფის წევრებმა მოახდინეს დევნილთა მრავალწლიან პრობლემებზე დასმული შეკითხვების ფორმულირება და ამის საფუძველზე შეადგინეს "სახელმძღვანელო იძულებით გადაადგილებულთათვის." დასმულ შეკითხვებს შორის ხაზგასმით იყო აღნიშნული კოლექტიური ცენტრების ადმინისტრირებაში დევნილთა მონაწილეობისა და მათ მიერ საკუთარი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბების მნიშვნელობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც კოლექტიური ცენტრები კერძო საკუთრებაში არის გადაცემული.

4. მომზადდა და პოლიტიკურ პარტიებში გავრცელდა მიმართვა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების თაობაზე. ეს მიმართვა ერთგვარი შეთავაზება იყო პოლიტიკური პარტიებისათვის, რომ ისინი ჩართულიყვნენ ერთობლივ მუშაობაში დევნილთა პრობლემების გადასაჭრელად და თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებში აესახათ ეს პრობლემები.

ასეთი მრავალდონიანი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა მთელი რიგი პრობლემების, ნაწილობრივ მაინც, გადაჭრა. პირველ რიგში, შემცირდა გაუცხოება ხელისუფლებასა და გადაადგილებულ პირებს შორის. ხელისუფლებამ გააცნობიერა, რომ ქსელთან თანამშრომლობა მას საშუალებას აძლევს დაინახოს დევნილთა რეალური ცხოვრების სურათი და, შესაბამისად, პრობლემებზე უფრო ოპერატიული რეაგირება მოახდინოს. ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან არა მარტო პრობლემებზე ღებულობენ ინფორმაციას, არამედ რეკომენდაციებსაც მათი დაძლევის გზებზე, წამომოსულს ქვედა დონიდან. არასამთავრობო ორგანიზაციები ფაქტიურად წარმოადგენდნენ ხელისუფლებასა და ცალკეულ გადაადგილებულ პირებს შორის ორმხრივი კავშირის საშუალებას.

თუმცა, ტრადიციული მეთოდების გვერდის ავლაც ვერ მოხერხდა. მაგალითად ისეთის, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციებით, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტებით მანიპულირება. ("აკეთეთ ის, რასაც გთავაზობენ"), ხშირ შემთხვევებში სხვადასხვა რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლებები აღმოჩნდნენ უფრო მოქნილები. ქსელის წევრებთან დამყარდა სამუშაო, პარტნიორული ურთიერთობები, რომლებიც დღემდე გრელდება (მაგალითად იმერეთში). ამავე დროს ამ ურთიერთობებმა გამოამჟღავნა დევნილთა პრობლემების მოგვარებით დაკავებული ხელისუფლების ზოგიერთი წარმომასდგენლის არაკომპეტენტურობა და უუნარობა .(ეს განსაკუთრებით ეხება "დევნილ ხელისუფლებას").

Source: Conciliation Resources

ქსელის წევრები 2006 წლის სემინარზე. ფოტო წარმოდგენილია "შერიგების რესურსების" მიერ.

პოლიტიკურ პარტიებთან მუშაობამ აჩვენა, რომ პოლიტიკოსებს არ აქვთ მკაფიო წარმოდგენა (ასევე რესურსები), თუ როგორ უნდა გადაწყვიტონ იძულებით გადაადგილებულთა პრობლემები. პოლიტიკური პარტიებისათვის ეს დადასტურება იყო იმისა, რომ ისინი ვერ ხედავენ თავის ელექტორატს გადაადგილებულ პირთა შორის. თავის მხრივ, იძულებით გადაადგილებულმა პირებმაც დაინახეს, რომ მთელი რიგი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში არ იყო ასახული დევნილთა ინტერესები. ქსელის მონაწილენი აგრძელებენ იძულებით გადაადგილებულ პირებში აქტიურ აგიტაციას, რომ მათ წარმოადგინონ თავისი კანდიდატები ყველა დონის არჩევნებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა ძალის გამოყენებით გამოსახლებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2007 წლის 24 აპრილს, სადაც პოლიციამ უფლებამოსილებას გადააჭარბა, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების რეაქცია გამოიწვია. ქსელმა, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პარალელურად, საქართველოს პარლამენტს წერილობით მიმართა, სადაც მოითხოვა, რომ პარლამენტს შეემუშავებინა ადამიანის უფლებების სტანდარტების შესაბამისი გამოსახლების წესები და ნორმები. მათი ძალისხმევის შედეგად პარლამენტმა შეიტანა ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172–ე მუხლში და პოლიციის შესახებ კანონის მე–9 მუხლში. რომელთა თანახმად იძულებით გადაადგილებულ პირთა ძალისმიერი გამოსახლება თავიანთი დღევანდელი საცხოვრებელი ადგილიდან იკრძალება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვის გარეშე.

სპეციფიური საკითხები

5

5.1. ინტეგრაცია

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობისას ტერმინი "ინტეგრაცია" აღმოჩნდა ყველაზე მეტად საკამათო, და ამავე დროს, სიცოცხლის უნარიანი. 2004 წლამდე ინტეგრაცია დაბრუნებასთან აბსოლუტურად შეუთავსებლად ითვლებოდა: ანუ, თუ კი მოხდებოდა გადაადგილებულ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია, ამით ისინი უარს იტყოდნენ დაბრუნების უფლებაზე. სწორედ ამით აიხსნება ინტეგრაციის იდეისადმი სერიოზული წინააღმდეგობა, ვინაიდან ის კაპიტულაციასთან ასოცირდებოდა.

> "იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე ყოველთვის იდგა არჩევანი: ან დაბრუნება ან ინტეგრაცია და ადამიანები შიშობდნენ, აერჩიათ რაღაც ერთი. ითვლებოდა, რომ ინტეგრაცია შეუძლებელს გახდის ადამიანების არსებული მდგომარეობის შეცვლას. ამიტომაც, რაც უფრო ღარიბად და ცუდად ცხოვრობდნენ დევნილები, მით უფრო ეწინააღმდეგებოდნენ ინტეგრაციის იდეას. მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც ნაჩვენები იქნა, რომ ეს ორი კონცეფცია ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხველი არ იყო, ინტეგრაციის აღქმა დაიწყო როგორც სრულიად დასაშვები მოვლენა"- ქსელის წევრი.

ინტეგრაციის იდეა ურყვეს არა მარტო იძულებით გადაადგილებულმა პირებმა, არამედ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ. თავდაპირველად იძულებით გადაადგილებული პირები ვარაუდობდნენ, რომ ინტეგრაცია დიდი ხნით დაამკვიდრებდა მარგინალიზებული და სოციალურად დაუცველი ადამიანების მიმართ არსებულ სტატუსს. ინტეგრაციის კონცეფცია მათთვის მისაღები გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩატარდა გარკვეული მუშაობა მათ დასარწმუნებლად, რომ ინტეგრაცია - ეს არის ნორმალური და ღირსეული ცხოვრების პირობებისა და შრომის საშუალება დაბრუნების გრძელვადიანი მიზნის უარყოფის გარეშე. ინტეგრაციის, როგორც კაპიტულაციის აღქმა, ერთ–ერთი მთავარი წინააღმდეგობა იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზაზე. მდგომარეობა შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადაადგილებულმა პირებმა ინტეგრაციაში დაინახეს შუალედური ეტაპი, უკეთესი მომავლისაკენ გადადგმული პირველი, აუცილებელი ნაბიჯი.

არსებობდა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ იძულებით გადაადგილებულ პირებს გავლენის მოხდენა პოლიტიკურ პროცესებზე: როგორც განცალკევებულ, შეკრულ საზოგადოებრივ ჯგუფს, თუ ინდივიდუალურად, ძირითად პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სტრუქტურებში ინტეგრირებულ ცალკეულ მოქალაქეებს. პროექტის კოორდინატორებს შორის არ არსებობდა ერთიანი აზრი ამა თუ იმ მიდგომის უპირატესობაზე. ზოგიერთებისათვის კი, ოპტიმალურ გადაწყვეტილებად მიჩნეული იყო ის, რომ არ დაშვებულიყო აქცენტირება გადაადგილებულ პირებსა და საზოგადოების სხვა ნაწილს შორის განსხვავებაზე.

> "იძულებით გადაადგილებული პირები არ მიიჩნევენ თავს განცალკევებული საზოგადოების ადამიანებად. ისინი თავს საქართველოს მოქალაქეებად თვლიან, რომელთა უფლებები დარღვეულია, რადგან მათ არ შეუძლიათ დაბრუნდნენ აფხაზეთში, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეები. მიუხედავად ამისა, ქართულ საზოგადოებაში იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებს აღიქვამენ როგორც მარგინალიზებული ადამიანების ჯგუფს, რომელებიც მხოლოდ ერთადერთზე, აფხაზეთში დაბრუნებაზე ოცნებობენ და ამისათვის მზად არიან შეეგუონ ცხოვრების მთელ რიგ მოუწყობელ პირობებს. იძულებით გადაადგილებულ პირებზე, როგორც არასრულფასოვან მოქალაქეებზე, წარმოდგენას აძლიერებდა ისიც, რომ მათ ეკრძალებოდათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა. მას შემდეგაც კი, რაც ეს აკრძალვა მოიხსნა, ბევრი დევნილი ძველებურად პასიური რჩებოდა და არ ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში. ზოგიერთი პოლიტიკური პარტია დევნილთა სოციალურ მდგომარეობას თავისი ინტერესებისათვის იყენებდა, მანიპულირებდა მათით და სარჩევნო ხმების მოპოვების სანაცვლოდ მატერიალურ და სოციალურ დახმარებას ჰპირდებოდა. ამ პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმა უკიდურესად პოპულისტური იყო, რომელიც ემყარებოდა აფხაზეთში მალე დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოწოდებებს. მაგრამ, ყოველივე ამან, გადაადგილებულ პირებს შორის მხოლოდ გააძლიერა პოლიტიკოსების მიმართ უნდობლობა და პოლიტიკური ნიჰილიზმი". - ქსელის მონაწილე.

ვიდრე გადაადგილებული პირები ითვლებოდნენ შინ დაბრუნების საერთო სურვილით

Source: Saba Chikhladze

თბილისის ერთ–ერთი საბავშვო ბაღის ოთახი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დროებითი განთავსებისათვის იყო გამოყენებული. პირველი ელექტროხელსაწყოები, რომელიც აქ დაიდგა, იყო თვითნაკეთი გამათბობელი და ტელევიზორი.
საბა ჩიხლაძის ფოტო

გაერთიანებული ადამიანების ჯგუფად, და არა თანაბარი უფლებებისათვის მებრძოლ მოქალაქეებად, ისინი დაუცველები იყვნენ სხვების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის მათი გამოყენების მცდელობებისაგან. იძულებით გადაადგილებული პირების აღშფოთებულ, განაწყენებულ ადამიანებად წარმოსახვა გათვითცნობიერებული სტრატეგია იყო, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზე გარკვეული ზემოქმედების სადავეების მოსაპოვებლად. რამაც, ამავე დროს, გაახანგრძლივა დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მარგინალიზაცია და პოლიტიკური პროცესებისაგან მათი გაუცხოება.

”რა უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანები თუ ტერიტორია? როგორც აღმოჩნდა, ტერიტორია, რადგან საქართველოს ხელისუფლებამ იძულებით გადაადგილებული პირები მძევლებად აქცია. ხელისუფლებას თავი უნდა შეეკავებინა მუქარისა და დაშინების პოლიტიკისაგან და გადაადგილებული პირები აფხაზური საზოგადოების წინააღმდეგ მუქარის ინსტრუმენტად არ უნდა გამოეყენებინა. ამის სანაცვლოდ ხელისუფლებას მხარი უნდა დაეჭირა ინტეგრაციის იდეისათვის, ეზრუნა იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად და ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად, გაეტარებინა გაცილებით ფრთხილი პოლიტიკა იმის გათვალისწინებით, რომ დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ საკმაოდ გრძელვადიან პერსპექტივაში. ხელისუფლებამ გადაადგილებული პირები არ უნდა წარმოსახოს დაბრუნებისა და შურისძიების გრძნობით ანთებულ ერთგვაროვან მასად. ეს არ შეესაბამება არც იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესებს და არც, საერთოდ, შერიგების პროცესს“. - ქსელის მონაწილე.

ინტეგრაცია გაცილებით მისაღებ ვარინტად იქცა მას შემდეგ, რაც მოხდა მისი შეგნებულად გამიჯვნა ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა "ასიმილაცია" ან "ნატურალიზაცია" და ფორმულირებულ იქნა როგორც დისკრიმინაციის ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი კეთილდღეობით სარგებლობის თანაბარი პირობებით უზრუნველყოფა. "დროებითი" ან „პირობითი" ინტეგრაციის ცნებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პროცესში

მიუხედავად ამისა, დღემდე ინტეგრაციის შესაძლო შედეგებზე აზრთა სხვდასხვაობაა შენარჩუნებული. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ გადაადგილებული პირების განცალკავებული საზოგადოებრივი ერთობის გაქრობა და მათი ქვეყნის საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვა გაზრდის მათი შინ დაბრუნების შესაძლებლობებს. მათივე აზრით, იძულებით გადაადგილებულმა პირებმა არ უნდა შეინარჩუნონ თავიანთი განმასხვავებელი ნიშნები და არ შექმნან საკუთარი პოლიტიკური პლატფორმა გადაადგილებულ პირთა მიერვე დაარსებული პოლიტიკური პარტიის სახით. ამის სანაცვლოდ, დევნილები უნდა გაწევრიანდნენ საერთონაციონალურ პარტიებში და თავიანთი ინტერესები ამ პარტიების პოლიტიკური პროგრამების საშუალებით გაახმოვანონ. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მათი განსხავავებულობის შენარჩუნებაზე დამოკიდებული ცალკეული ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც გამოყოფენ გადაადგილებულ პირებს მათი საერთო გარემოდან, ახანგრძლივებს მათ მარგინალიზაციას. გადაადგილებულ პირებში განსხვავებულობის შენარჩუნება, მათი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების თავისუფალი გამოყენების სანაცვლოდ, ხელს უწყობს განდევნილის სტატუსის გამყარებას.

> " მე არ ვარ დაბრუნების უფლების წინააღმდეგი, მაგრამ არ ვარ ამ უფლების აქტიური დამცველი. ჩემი სურვილია, რომ ეს უფლება გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ დისკუსიებში ნაკლებად იქნეს მოხსენიებული. რადგანაც მიმაჩნია, რომ დევნილთა დაბრუნების ალბათობა და შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ კი ისინი ინტეგრირებულნი იქნებიან ქვეყნის საერთო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ კი გადაადგილებული პირები ისევ იქნებიან სტრუქტურირებულნი როგორც განცალკევებული და შეკრული ადამიანების საზოგადოებრივი ჯგუფი, ალბათ, ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ შინ დაბრუნებას. ყველა შემთხვევაში, ცალკეული პოლიტიკური ინსტიტუტები ვერასოდეს ვერ შესძლებენ მათი ინტერესების სამსახურში ყოფნას, რადგან ისინი აბსოლუტურად უმოქმედონი არიან და დაინტერესებულ პირთა ვიწრო ინტერესებს ექვემდებარებიან.

ჩვენ უნდა ვიმუშაოთ პოლიტიკურ პარტიებთან, დავარწმუნოთ ისინი, რომ თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებში დევნილთა ინტერესები ჩართონ" - პროექტის კოორდინატორი.

ამ მოსაზრების მოწინააღმდეგენი, მათ შორის დევნილებიდანაც,, შიშობენ, რომ ინტეგრაცია დევნილების საზოგადოებაში გაფანტვას გამოიწვევს, რაც ფაქტიურად, დაბრუნებაზე უარის ტოლფასია. მათი თქმით, გადაადგილებული პირების მეორე თაობაც კი, მათივე მოლოდინების საწინააღმდეგოდ, საკუთარ თავს ისევ აიგივებს წინპრების სახლებთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. და თავს მათი დღევანდელი გარემომცველი საზოგადოების ნაწილად არ მიიჩნევს[13]14. შესაბამისად, ინტეგრაციის გზაზე, იმ პირობით, თუ ეს მოხდება ნებაყოფლობით, განსხვავებულობის გამო რაიმე წინააღმდეგობა არ უნდა არსებობდეს. მაგრამ საჭიროა, რომ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნებისაკენ სწრაფვა ყველანირად მხარდაჭერილი იქნეს.

> "ადამიანებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება. რა თქმა უნდა, ბევრს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ არ დაბრუნდება. მაგრამ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ დაბრუნების უფლება და ამავე დროს, სანამ ისინი დევნილობაში ცხოვრობენ, თავი სრულუფლებიან მოქალაქეებად იგრძნონ."- ქსელის წევრი

არ წყდება კამათი იმაზე, უნდა ისწრაფოდნენ თუ არა იძულებით გადაადგილებული პირები, რომ მათი ინტერესები ცალკე ინსტიტუტების მეშვეობით იყოს წარმოდგენილი. მაგალითად, საკუთარი პოლიტიკური პარტიის სახით, თუ საერთონაციონალურ პარტიებში გაწევრიანებით. აუცილებელია აღინიშნოს რომ, პროექტის მონაწილეებზე, ამა თუ იმ პოზიციის მისაღებად, არავინ არავითარ ზეწოლას არ აწარმოებდა. პროექტი მიმართული იყო იქეთკენ, რომ გადაადგილებულ პირებს გადაწვეტილება ყველა დონეზე თავად მიეღოთ.

5.2. ურთიერთობა ძირითად პოლიტიკურ პარტიებთან

როგორც შესავალში იყო აღნიშნული, პროექტის განხორციელება დროში დაემთხვა ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდგომ

13 ეს არ არის ხელოვნური მოვლენა. ის, სხვა ყველაფერთან ერთად, სათავეს იღებს იმ მნიშვნელოვანი როლიდან, რომელსაც ბავშვების აღზრდაში ბებიები და ბაბუები ასრულებენ. ასეთ ოჯახებში მოგონებები ყოფილ სახლსა და ომამდელ ცხოვრებაზე ბუნებრივად გადაეცემა თაობიდან თაობას.

შეშის ღუმელი და თვითნაკეთი პურის საცხობი საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების ყოფის აუცილებლ ატრიბუტს წარმოადგენს. პრაქტიკულად ყოველ, ყველაზე ხელმოკლე ოჯახსაც კი, აქვს ტელევიზორი, როგორც ინფორმაციისა და გართობის ძირითადი წყარო.

იძულებით გადაადგილებულ პირებს ქვეყნის საერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის რეალური საშუალება მიეცათ. პროექტის კოორდინატორები დაეთანხმნენ, იმას, რომ აუცილებელი იყო უარის თქმა " კოლექტიურ ხმის მიცემაზე" მმართველი პარტიის სასრგებლოდ, რაც დევნილობაში ცხოვრების პირველი ათწლეულის დამახასიათებელი მოვლენა იყო. ასევე, უნდა გადალახულიყო არჩევნების მიმართ დევნილთა პასიურობა, რომელიც, საქართველოში არჩევნების ფალსიფიცირების თაობაზე დამკვიდრებული აზრის გათვალისწინებით, იმავე შედეგებს იძლეოდა.

" ჩვენ ვიმედოვნებდით, გადაადგილებული პირების ხმების დიფერენციაციის ისეთ დონემდე მიგვეღწია, როგორიც შეინიშნებოდა ამომრჩეველთა დანარჩენ ნაწილში. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ დევნილებმა უარყვეს თავისი ძველი ჩვევა: ან ყველამ ერთად ხმა მისცეს მმართველ პარტიას, ან კიდევ, საერთოდ არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ეს კი, არჩევნების ფალსიფიკაციის კონტექსტში, საკუთარ ხმაზე უარის თქმის გზით, მმართველი პარტიის სასარგებლოდ ხმის მიცემის ტოლფასი იქნებოდა."- პროექტის კოორდინატორი.

ერთდროულად საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. პირველ რიგში, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის შეცვლილი იქნა საქართველოს პარლამენტის სტრუქტურა. ასე მაგალითად: შეიცვალა დეპუტატთა რაოდენობის თანაფარდობა - პარტიული სიით გასული დეპუტატებისა მაჟორიტარული ოლქებიდან გასული დეპუტატების რაოდენობასთან. თუ კი ადრე ეს თანაფარდობა უდრიდა 100:50, ამჟამად პარლამენტში მაჟორიტარების და პარტიული სიით გასული დეპუტატების რაოდენობა გათანაბრდა – 75:75. ამ ცვლილების ერთ-ერთი შედეგი გახდა ის, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ეპიცენტრმა მაჟორიტარულ ოლქებში, ანუ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური პროცესებისაკენ, გადაინაცვლა. ამიტომაც აუცილებელი იყო ახალი მექანიზმის შექმნა იძულებით გადაადგილებული პირების შეხვედრებისათვის მათთან, ვისაც ისინი პარლამენტში უნდა წარმოედგინა.

ამრიგად, წარმოიქმნა სრულიად ახალი პირობები იძულებით გადაადგილებული პირების პოლიტიკური მონაწილეობისათვის. დევნილი ხელისუფლების "საკუთარ" ლიდერებთან ურთიერთობის სანაცვლოდ, გადაადგილებულ პირებს თავიანთი პრობლემები საერთო ნაციონალური პარტიის კანდიდატებამდე უნდა მიეტანათ. ამ კანდიდატებიდან ბევრს არ გააჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირებთან პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, ცუდად ერკვეოდნენ მათ მოთხოვნილებებში და ადრე ამგვარ აუდიტორიასთან კონფლიქტის მოგვარების გზებზე მსჯელობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

უფრო მეტიც, 2008 წლისათვის გაუქმებული იყო საინიციატივო ჯგუფებიდან მაჟორიტარი კანდიდატების დასახელების უფლება. ამ მომენტიდან მაჟორიტარი დეპუტატების დასახელების უფლება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ. ამ ცვლილებამ კიდევ უფრო გაუსვა ხაზი იძულებით გადაადგილებული პირების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის აუცილებლობას. თავის მხრივ, კანდიდატები პოლიტიკური პარტიებიდან უკეთ უნდა გასცნობოდნენ დევნილთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ასევე -კონფლიქტის დარეგულირების მიმართ მათ სპეციფიურ შეხედულებებს. ბოლოს და ბოლოს, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შემთხვევაში, სწორედ ამ ადამიანებს მოუწევთ დღევანდელი აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან თანაცხოვრება.

პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ იქნა იძულებით გადაადგილებული პირების შეხვედრების სერია პოლიტიკური პარტიებიების დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებთან. ამ შეხვედრებზე მსჯელობა ძირითადად მიდიოდა სოციალური პრობლემებზე (ცუდი საცხოვრებელი პირობები, უხარისხო სამედიცინო მომსახურება, დასაქმების პრობლემა, განათლება და სხვა). ასევე კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე – ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაჭრის შესაძლო გზებსა და იმ სარგებელზე, რომელიც შეიძლება საქართველომ ნატო-ში გაწევრიანებით მიიღოს. ამ შეხვედრებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს– ბევრ მათგანს პირველად- საშუალება მისცა შეხვედროდნენ თავის მომავალ წარმომადგენლებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში და მათთვის დაესვათ შეკითხვები კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივების მათეულ ხედვასთან დაკავშირებით. თუმცა, ყველა კანდიდატი არ აღმოჩნდა მზად პასუხი გაეცა დევნილთა შეკითხვებზე. (იხილეთ ქვემოთ „კონფლიქტებზე მუშაობა").

მთლიანობაში, პროექტმა იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ამომრჩეველთა აქტიურობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. ბევრმა მათგანმა ხმა ოპოზიციურ პარტიებს მისცა. ეს განსაკუთრებით თბილისში იგრძნობოდა, სადაც ოპოზიცია ტრადიციულად ინარჩუნებს ძლიერ პოზიციებს. 2008 წლის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ თბილისში, ოპოზიციურად განწყობილ საარჩევნო ოლქებში დევნილებისათვის გამოყოფილ სპეციალურ საარჩევნო უბნებზე ოპოზიციის კანდიდატები სხვა საარჩევნო უბნებთან მიახლოებულ შედეგებს ღებულობდნენ. იძულებით გადაადგილებულმა პირებმა უარი თქვეს მმართველი პარტიის კანდიდატებისათვის საყოველთაო ხმის მიცემის პრაქტიკაზე და პოლიტიკური დიფერენციაციის საგრძნობი დონე გამოამჟღავნეს. ეს ცვლილებები მარტო თბილისში არ შეიმჩნეოდა, თუმცა, დედაქალაქში ეს მოვლენა უფრო გავრცელებული იყო. ერთ–ერთმა კოორდინატორმა გვიამბო იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა დასავლეთ საქართველოში.

> " ადრე, თუ კი გადაადგილებული პირები წინასაარჩევნო კამპანიაში და თავად არჩევნებში ხშირად ნომინალურად მონაწილეობდნენ, მოცემული პროექტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შემდგომ სურათი შეიცვალა. იძულებით გადაადგილებულმა პირებმა გააცნობიერეს საკუთარი მნიშვნელობა და როლი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ასევე, საკუთარი მონაწილეობის მნიშვნელობა ისეთ გადამწყვეტ პროცესებში, როგორიცაა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. შეიძლება ითქვას, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს

თავისი ადაპტაციისა და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის მნიშვნელობის გაცნობიერებაში"- პროექტის კოორდინატორი.

Source: Conciliation Resources

პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი მიხეილ მაჭავარიანი იძულებით გადაადგილებულ პირებთან შეხვედრაზე. ფოტო მოწოდებულია "შერიგების რესურსების" მიერ.

ამგვარი აქტივიზაცია საქართველოში სოციალური მოძრაობის პირველ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. პოსტსაბჭოთა საქართველოს განვითარება ასეთ მოძრაობებს არ იცნობდა. საქართველოში ქვედა დონის ისეთი ფართო საზოგადოებრივი მოძრაობები, როგორიცაა ქალთა მოძრაობა, ან მოძრაობა მშვიდობისათვის, პრაქტიკულად, არ არსებობს. პროექტის ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, პროექტმა აჩვენა იძულებით გადაადგილებული პირების შესაძლებლობა გახდნენ საქართველოში პირველი ამდაგვარი მოძრაობის ინიციატორები.

„იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში სოციალურად და პოლიტიკურად გაცილებით აქტიურ საზოგადოებრივ ფენად იქცნენ. გამორიცხული არ არის, რომ თუ კი ვინმეს ქვეყანაში ძალუძს გარკვეული მოძრაობის წამოწყება, შესაძლებელია, რომ ეს იძულებით გადაადგილებული პირები იყვნენ და ხელისუფლებამ ამის შესახებ იცის. ყველამ უცებვე გააცნობიერა, რომ მათში სერიოზული რესურსი იმალება და ამით აიხსნება, თუ რატომ დაინტერესდა დევნილებით სახელმწიფო აპარატი. მაგრამ ამჟამად იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუძლიათ დაუპირისპირდნენ მათით მანიპულირების მცდელობებს"- პროექტის კოორდინატორი.

თუმცაღა, როგორც პროექტის ერთ-ერთმა კოორდინატორმა შენიშნა, ასეთი შესამჩნევი შედეგების დაფიქსირება შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ პროექტი დროში დაემთხვა ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს. "ეს არ არის მდგრადი წარმატება: ის, რისი მიღწევაც მოხერხდა, იმ დროისათვის შექმნილი საგანგებო ვითარებითაც შეიძლება აიხსნას".

თუმცა, იძულებით გადაადგილებულ პირთა ინდივიდუალურ დონეზე მონაწილეობის პროცესი, რომელსაც შეეძლო მთლიანად შეეცვალა მათი, როგორც განცალკევებული საზოგადოებრივი ჯგუფის, მონაწილეობის წინანდელი მოდელი, ადვილად არ მიმდინარეობდა. ზოგიერთ რეგიონებში დევნილების ასეთი ავტონომიურ მოქალაქეობრივ აქტიურობას საგრძნობი წინააღმდეგობები დახვდა. ამის მკაფიო მაგალითად შეიძლება გამოდგეს სამეგრელო, სადაც დევნილთა დიდი რაოდენობაა თავმოყრილი. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების პერიოდში მიხეილ სააკაშვილმა და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ რეგიონში

პრაქტიკულად ისეთივე მხარდაჭერა მიიღეს, როგორც ადრე. პროექტის კოორდინატორებმა ეს სხვადასხვა მიზეზებით ახსნეს. ჯერ ერთი, რეგიონი ცენტრისაგან შორს არის და პოლიტიკური ქცევის ცვლილებები იქ დიდი დაგვიანებით აღწევს.[14] მეორეს მხრივ, სამთავრობო სტრუქტურებში ღრმად გამჯდარი ადგილობრივი კლანების გავლენა იქ ძველებურად გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა რეგიონებში. რაც იმის მანიშნებელია, რომ ცალკეული გავლენიანი პირები ადგილობრივ პოლიტიკაში კვლავ აგრძელებენ საკვანძო როლის თამაშს. მესამე ფაქტორად, კოორდინატორების აზრით, შესაძლოა, ჩაითვალოს ისიც, რომ თავისი როლი შეასრულა საკაშვილის ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და გაუმჯობესების პროექტებმა, რასაც ბევრი დევნილი მადლიერებით აღნიშნავს.

თუმცა, პირდაპირი სამოქალაქო მონაწილეობის დაწყების მიუხედავად, იძულებით გადაადგილებულ პირებში არ შეჩერებულა მათი, როგორც განსხვავებული ნიშნების მქონე, ცალკე საზოგადოებრივი ჯგუფის შენარჩუნების მცდელობა. 2008 წლის შემოდგომაზე დაფუძნდა პარტია "ჩვენი აფხაზეთი". თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, პარტიული ხელმძღვანელობისა და პროგრამის ფორმირების ეტაპზე, პარტია იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის სირთულეებს წააწყდა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისათვის იძულებით გადაადგილებული პირები ადრინდელზე ინტეგრირებულები აღმოჩნდნენ. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით, "ამჟამად დევნილებს ძალუძთ განასხვაონ, თუ როდის იქმნება პოლიტიკური პარტია ხელოვნურად, მათი მდგომარეობის საკუთარი მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ეს პოლიტიკური კულტურის ზრდაზე და მათით მანიპულირების მცდელობის გამოცნობის უნარის განვითარებაზე მეტყველებს"

2007 წელს პაატა დავითაიამ, თამაზ ნადარეიშვილის გუნდის ყოფილმა წევრმა, შექმნა პარტია "ჩვენ თვითონ". მიუხედავად დავითაიას მტკიცებისა, რომ პარტია იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესების დასაცავად შეიქმნა, ვერც მან და ვერც მისი პარტიის პროგრამამ დევნილების თვალშისაცემი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. მოგვიანებით დავითაია გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკის სიით არჩეულ იქნა პარლამენტის დეპუტატად.

5.3 კონფლიქტზე მუშაობა

პროექტი მკაფიოდ იყო მიმართული იძულებით გადაადგილებული პირების გავლენის გასაძლიერებლად ქართულ–აფხაზური კონფლიქტის განხილვის პროცესის მიმართ. სახელმწიფო მოხელეები (განსაკუთრებით კი „ლეგიტიმური მთავრობა") დევნილებს გამუდმებით წარმოაჩენდნენ, როგორც აფხაზებისადმი მტრულად განწყობილ და დაბრუნების გარდა ნებისმიერი სხვა გზის უარმყოფელ ხალხს. ამის შედეგად გაჩნდა იძულებით გადაადგილებული პირების სტერეოტიპული სახე, როგორც განრისხებული, ერთგვაროვანი და საფრთხის მატარებელი ადამიანების ჯგუფისა, რომლებიც ნებისმიერ ფასად მიისწრაფვიან სახლებში დაბრუნებისაკენ. ხელისუფლების მიერ ხდებოდა ამ სტერეოტიპის კულტივირება ქართულ–აფხაზური კონფლიქტის სამშვიდობო პროცესზე ზემოქმედების ბერკეტად გამოსაყენებლად. ასეთ სტრატეგიას ხშირად მიმართავენ ტერიტორიულ კონფლიქტებში დამარცხებული მხარის მთავრობები, რომლებიც იძულებულნი არიან საქმე იქონიონ იძულებით გადაადგილებასთან.

1990–ანი წლების კონფლიქტების შემდეგ ბევრმა ქართველმა პოლიტიკოსმა გააცნობიერა, რომ დევნილების გამოსახვამ ტრავმირებულ, საკუთარ სახლებზე მეოცნებე ადამიანების ჯგუფად, შეიძლება არც თუ ურიგო საარჩევნო დივიდენდები მოიტანოს. პოლიტიკოსები პერიოდულად უბრუნდებიან დაბრუნების თემას, რომელსაც საომარი რიტორიკით აჯერებენ. თუმცა, თუ ამ რიტორიკას მოვაცილებთ საარჩევნო დივიდენდების მოპოვების სურვილს, დავინახავთ სხვა საკითხების, მაგალითად დევნილთა უფლებების დაცვის, ან კონფლიქტის მოგვარებისათვის პირობების შექმნის, მიმართ ამ მიდგომების მცდარობასა და უუნარობას. რა თქმა უნდა, დევნილებში, ისევე როგორც საზოგადოებაში მთლიანად, არის რისხვა და აგრესია, კონფლიქტის გადაჭრის ძალისმიერი მეთოდების მხარდაჭერის ჩათვლით. მაგრამ შეცდომა და რეალობის მიზანმიმართული დამახინჯება იქნება ამგავრი შეხედულებების უკლებლივ ყველა იძულებით გადაადგილებული პირისათვის მიწერა.

გარკვეულწილად, მოსაზრება, რომ ყველა დევნილს ეზიზღება მტერი, ეწინააღმდეგება საღ აზრს, რადგან ისინი სწორედ ამ "მტერთან" იყვნენ ძალიან ახლოს, როგორც კოლეგასთან, მეზობელთან, მეგობართან, ქმართან, ცოლთან და ზოგ შემთხვევაში როგორც დედასთან, მამასთან ან შვილთან. ეს კავშირები

14 სამეგრელოს კიდევ ერთ განმასხვავებელ თვისებად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ რეგიონი პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველი პრეზიდენდის, ზვიად გამსახურდიას მომხრეთა დასაყრდენი იყო. 1992 წელს ზვიად გამსახურდიას ძალისმიერი გზით გადაგდებას სამეგრელოში სამოქალაქო ომი მოჰყვა და რეგიონი გასამხედროებული ფორმირების, "მხედრიონის ", მკაცრი სადამსჯელო ოპერაციების ობიექტად იქცა. რადგანაც ეს ფორმირება მტკიცედ იყო ასოცირებული თბილისთან. „მხედრიონის" ქმედებებმა გამოიწვია რეგიონის მრავალწლიანი, განსაკუთრებით პირველ ხანებში, გაუცხოება დედაქალაქისა და ცენტრალური ხელისუფლების მიმართ.

არ ექვემდებარება დამაჯერებელ გადატანას სიძულვილისა და შურისძიების ენაზე, მით უმეტეს, მათ მიერ, ვინც თავად არ არიან იძულებით გადაადგილებული პირები, მაგრამ მათი სახელით ლაპარაკის პრეტენზია აქვთ. მეორეს მხრივ, საომარ რიტორიკას შეუძლია ნაციონალისტური იმიჯის უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია ამომრჩევლების მხარდაჭერის მისაღებად, მაგრამ ის შეუძლებელს ხდის კონფლიქტის მოგვარების ნებისმიერი ალტერნატიული გზების განხილვას, ძალისმიერის გარდა. ნებისმიერ ფასად დაბრუნების იდეას არ შეუძლია ისეთი საკითხების გადაწყვეტის რეალური გზების შეთავაზება, როგორიცაა მეორე მხარესთან თანაცხოვრების პირობების აღდგენა, მართვაში ერთობლივი მონაწილეობა, კავშირებისა და საერთო ფასეულობების აღდგენა. ეს ის საკითხებია, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ დარეგულირების გეგმა და სტრატეგია. ამის სანაცვლოდ, დაბრუნების რიტორიკა, როგორც ჩანს, გათვლილია სოციალურად ყველაზე დაუცველ, გაჭირვებულ დევნილებზე, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან უბედურებებისა და პრობლემებისაგან მათი გათავისუფლების დაპირებებზე. და აგრეთვე მათზე, ვინც დევნილებს არ მიეკუთვნება და ვისაც არ მოუწევს ამ საკითხებთან შეხება თუკი/როცა დაბრუნება რეალური გახდება.

სანამ დაბრუნება მიბმული იქნება ერთიან, მტრულად განწყობილ და შურისძიების გრძნობით ანთებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოებრივ ჯგუფთან, ის ვერ იქნება ჩართული კონფლიქტის მოგვარების დღის წესრიგში. ამიტომ პროექტი მიმართული იყო იმისაკენ, რომ ხელი შეეშალა დევნილთა შორის ცრუ წარმოდგენების გავრცელებისთვის და შეექმნა პირობები მრავალფეროვანი პოზიციებისა და შეხედულებების გამოსახატავად. აქამდე კონფლიქტის მოგვარების გზების განხილვა მონოპოლიზებული იყო მათ მიერ, ვისაც პრეტენზია ჰქონდა ყოფილიყო იძულებით გადაადგილებული პირების ინტერესების გამომხატველი. ამ მონოპოლიის გაუქმება შეხედულებების მრავალფეროვნების რეალისტური სურათის დანახვის საშუალებას მოგვცემდა. ეს აამაღლებდა კონფლიქტის მოგვარების გზების განხილვის დონეს და ხელს შეუწყობდა ხელმისაწვდომი ალტერნატივებიდან გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. დევნილების, როგორც კონფლიქტის მეორე მხარის მიმართ აგრესიული და მტრულად განწყობილი ადამიანების, სტერეოტიპის დამსხვრევის შედეგად, დევნილთა შორის სამშვიდობო რესურსების გააქტიურება არის შესაძლებელი. შეხედულებები, რომელიც ადრე „კაპიტულანტურად“ ფასდებოდა, ამ შემთხვევაში შეიძლება გამოთქმული და განხილული ყოფილიყო მათი აპრიორი უარყოფის გარეშე. და ბოლოს, უკეთ ინფორმირებული და მომზადებული იძულებით გადაადგილებული პირების წინაშე პოლიტიკოსები კონფლიქტის დარეგულირების საკუთარი პროგრამებისა და წინადადებების გამო მეტ პასუხისმგებლობას იგრძნობენ.

ამიტომ პროექტი შედგებოდა რიგი ღონისძიებებისაგან, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს კონფლიქტის დარეგულირებასთან. ამ ღონისძიებების ნაწილში გამოყენებული იყო „შერიგების რესურსების“ მხარდაჭერით ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადრინდელი პროექტების მასალები. მათ რიცხვში შედიოდა:

- სტუდია რე–ს მიერ გადაღებული ქართულ–აფხაზური კონფლიქტის თემისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმების დემონსტრაცია და განხილვა;
- გურამ ოდიშარიას პიესის, „ზღვა, რომელიც შორია“, ვიდეოჩანაწერის დემონსტრაცია და განხილვა;
- ქართველი ექსპერტების ჯგუფის მიერ მომზადებული საქართველოს სახელმწფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ კონცეფციის საზოგადოებრივი განხილვა;
- ქართულ–აფხაზური კონფლიქტის ანალიზი და განხილვა ექს–კომბატანტებთან;
- ახალგაზრდებთან ქართულ–აფხაზური კონფლიქტის ანალიზზე მუშაობა;

ამ ღონისძიებების საშუალებით მოხერხდა ქართულ–აფხაზური კონფლიქტის განხილვის ახალ, უფრო მაღალ დონეზე გაყვანა. ამაზე მეტყველებს 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების მაჟორიტარ კანდიდატებთან შეხვედრების დროს გამართული დისკუსიების ხარისხი. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით:

> „ამ შეხვედრებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს მისცა შესაძლებლობა პირდაპირ ეკითხათ მათთვის, ვინც აპირებდა მათ წარმოდგენას პარლამენტში: რის გაკეთებას აპირებთ კონფლიქტთან დაკავშირებით? კანდიდატები მზად არ იყვნენ ასეთი შეკითხვისთვის. დევნილებმა კანდიდატებს წერილობით წარუდგინეს შეკითხვები და წინადადებები, მაგრამ ფაქტიურად ვერავისაგან მიიღეს პასუხი“.

მეორე ინდიკატორი იყო ცვლილება ზოგიერთი პოლიტიკოსის საჯარო პოზიციაში ასეთი შეხვედრების გამართვამდე და მას შემდეგ. ზოგ შემთხვევაში, დევნილებთან შეხვედრის შემდეგ, პოლიტიკოსებმა, რომლებიც ცნობილნი იყვნენ თავისი შეურიგებელი და ხისტი შეხედულებებით, შედარებით შეარბილეს თავისი პოზიციები. ეს, ფაქტიურად, მიანიშნებს დევნილთა პირდაპირი გავლენების დაწყებაზე იმ საკითხების განხილვის პროცესზე, რომლებიც მათ აღელვებთ და

პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებაზე კონფლიქტის მოგვარების გზებისადმი მათი დამოკიდებულების გამო.

ქსელის წევრებმა აგრეთვე მოახდინეს საკუთარი ძალების მობილიზაცია, რათა წინააღმდეგობა გაეწიათ, მათი შეფასებით, ქართული საინფორმაციო საშუალებების მიერ პერიოდულად ხელოვნურად შექმნილი დაძაბულობისათვის. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ენგურზე საპროტესტო აქციის შედეგად, აფხაზეთში ქართველი სტუდენტების დაკავებით გამოწვეული აგრესიისა და დაძაბულობის განმუხტვაზე მუშაობა. ერთ-ერთი კოორდინატორის თქმით: „ეს იყო პროექტის სერიოზული მიღწევა: მედიაში გარკვეული დამახინჯებული ინფორმაციის შესწორება“. თუმცა, არ ღირს იძულებით გადაადგილებულ პირთა გავლენის გადაფასება. ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით:

> „ჩვენ, შეიძლება, მოვახერხეთ ზოგიერთი პოლიტიკოსის შეხედულებების შერბილება და ამით, გარკვეულწილად, ხელი შევუწყვეთ კონფლიქტის მშვიდობიან მიგვარებას. მაგრამ უფრო ფართო გაგებით, თუმცა დევნილებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საკუთარი სოციალური პრობლემების გადაჭრის პოლიტიკაზე, მაგრამ მათ კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკაზე ზემოქმედების გაცილებით ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ეს კი, ზოგადად, ქართულ პოლიტიკაში დემოკრატიის დეფიციტის მახასიათებელია“.

კონფლიქტზე მუშაობის დროს ზოგიერთმა დევნილმა გამოამჟღავნა ღიაობის საკმაოდ მაღალი დონე კონფლიქტის დარეგულირების შესაძლო გზების განხილვის დროს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალგაზრდობა.

> „მიუხედავად სახლში დაბრუნების დიდი სურვილისა, აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებში აფხაზების მიმართ არანაირი აგრესია არ შეიმჩნეოდა. ინტერვიუებისა და რადიოგადაცემების დროს ისინი პატიებასა და მეგობრობაზე საუბრობდნენ“.– ქსელის მონაწილე.

პროექტის მონაწილე ორგანიზაციების თქმით, ახალგაზრდა აქტივისტების მუშაობა ხშირად საკუთარ დინამიკას იძენდა. მაგალითად, როცა „ძველებს“, ანუ წინა პროექტების მონაწილეებს, პროექტში მონაწილეობის მისაღებად აქტიურად მოჰყავდათ „ახალი“ წევრები. იმ ღონისძიებებს შორის, რომელშიც ახალგაზრდები იღებდნენ მონაწილეობას, აღსანიშნავია „შერიგების რესურსების“ მიერ ორგანიზებული ქართულ–აფხაზური ახალგაზრდული დიალოგი, აგრეთვე არჩევნების პერიოდში სადამკვირვებლო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა და სადისკუსიო კლუბის, „ჩვენი ხედვის“ ჩამოყალიბება.

სხვა სეგმენტებში მუშაობა ასეთი წარმატებული არ აღმოჩნდა. ექს–კომბატანტების სადისკუსიო კლუბის მუშაობის პროცესში კონფლიქტის ბევრმა ყოფილმა მონაწილემ შეიცვალა თავისი შეხედულებები, მაგრამ მათ გაუჭირდათ სხვა ვეტერანების დარწმუნება საკუთარი მიდგომების

უფროსკლასელი დევნილი გოგონები, რომლებიც ქუთაისის რაგბის ნაკრების წევრები არიან

Source: Conciliation Resources

დისკუსია ექს–კომბატანტთა კლუბში ფოტო „შერიგების რესურსების“ არქივიდან

უპირატესობაში. აქ ასევე, აისახა ამბივალენტურობა კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი მეთოდების შესაძლო შედეგების მიმართ. ყველასთვის, ვინც ამ ამბივალენტურობას გრძნობდა, მშვიდობიანი გზის სამართლიანობასთან თავსებადობა ეჭვს იწვევდა. ითვლებოდა, რომ ყურადღების ფოკუსირება კონფლიქტის მოგვარების მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებზე, აუცილებლად მიგვიყვანს აფხაზეთისთვის გაუმართლებელ დათმობებამდე.

მსჯელობამ და ვარაუდებმა იმის შესახებ, თუ როგორია „მეორე მხარეს ცხოვრება“, გააქრო მალე დაბრუნებისა და წარსულის აღდგენის ილუზიები. მტკივნეულმა გააზრებამ იმისა, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ვერასდროს შეძლებენ ადრინდელ ცხოვრებაში დაბრუნებას, შესაძლებელი გახადა დისკუსიის აწმყოზე ფოკუსირება და იმის განხილვა, თუ რისი მიღწევა შეიძლება ახლა. გააზრებამ, რომ კონფლიქტის ვერც ერთ მხარეს ვერ ექნება დანაკაგზე მონოპოლიური უფლება, მოიტანა მეორე მხარის ფსიქოლოგიის უფრო რეალისტური აღქმა. საზოგადოება, რომელიც ომამდე არსებობდა, როგორიც უნდა ყოფილიყო ის, წარსულს ჩაბარდა და ახლა ის უკვე სულ სხვანაირი გახდა.

.

ამგვარი თემების ერთობლივმა კვლევამ წამოწია მნიშვნელოვანი საკითხები კონფლიქტის მოგვარებისა და სამშვიდობო მუშაობის მნიშვნელობისა და მიზნების შესახებ. ზოგიერთი შემოთავაზება, მაგალითად იმაზე, რომ საჭიროა გვერდი ავუაროთ, ან გადავდოთ განსაკუთრებით მტკივნეულ ან “აკრძალულ“ თემებზე საუბარი მეორე მხარესთან თბილი და მეგობრული ურთიერთობის დამყარების მიზნით, ეჭვქვეშ იყო დაყენებული. პროექტის ინტეგრალური ელემენტი იყო მონაწილეთა სტიმულირება, რომ მათ ზედაპირზე ამოეტანათ საკუთარი რთული ემოციები და ეპოვათ მეორე მხარესთან ამ ემოციების განხილვის შესაძლებლობები მთლიანობაში, პროექტის მიერ შემოთავაზებული იყო იძულებით გადაადგილებულ პირებს– დევნილებს შორის კონფლიქტის მოგვარების თემაზე დისკუსიის ხარისხის გაუმჯობესების ნათელი და მკაფიო მექანიზმები. ჩატარებული სამუშაო გამოწვევა იყო მათთვის, ვინც თვლიდა, რომ ჰქონდა მონოპოლიური უფლება გამოეხატა დევნილთა ინტერესები და მისწრაფებები. ასევე, ეს სამუშაო დაუპირისპირდა გავრცელებულ ყალბ წარმოდგენებს დევნილებზე, როგორც ადამიანებზე, რომლებსაც ხისტი და უკომპრომისო პოზიცია აქვთ კონფლიქტის დარეგულირებასთან მიმართებაში. პროექტმა გამოავლინა იძულებით გადაადგილებულ პირთა გარკვეული ჯგუფების პოტენციური უნარი მიიღონ კონსტრუქციული მონაწილეობა კონფლიქტის დარეგულირების ალტერნატიული გზების განხილვაში და შესაძლებლობა მისცა მათ პოლიტიკოსებამდე მიეტანათ საკუთარი ხედვები.

ამავე დროს, პროექტმა უჩვენა, რომ თუმცა დევნილებს შეუძლიათ სერიოზული გავლენა მოახდინონ სოციალური პოლიტიკის განხორციელებაზე, ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მათ შეძლონ გავლენის მოხდენა საქართველოს მიდგომებსა და პოლიტიკაზე მათი მთავარი პოლიტიკური პრობლემის – კონფლიქტის დარეგულირების მიმართ. ამის ნათელი დადასტურება გახდა 2008 წლის აგვისტოში განახლებული ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები

აგვისტოს ომი

6

2008 წლის აგვისტოს ომმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული, რუსული და ოსური შეიარაღებული ძალები (აგრეთვე აფხაზური შენაერთები კოდორის ხეობაში), გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა ახალი ტალღა და გარდამტეხი მომენტი გახდა მათთვის, ვინც დევნილობაში 1990–ანი წლებიდან ცხოვრობდა. ერთის მხრივ, ქართული ჯარის დამარცხებამ და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოფიციალურმა აღიარებამ დაამსხვრია დაბრუნების მრავალწლიანი იმედები. მეორეს მხრივ კი ახალი დევნილებისთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობამ იმათი ხვედრის შემსუბუქების საშუალებაც გააჩინა, ვისაც დევნილობის ხანგრძლივი, თითქმის 16 წლიანი, გამოცდილება ჰქონდა.

ომის შედეგად კონფლიქტის ორივე მხარეს ახალი იძულებით გადაადგილებული პირები გაჩნდნენ. ქართველი დევნილების დიდმა ნაწილმა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ შეძლო საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება. მაგრამ 21 ათასი ადამიანი – ეთნიკური ქართველი სამხრეთ ოსეთიდან და კოდორის ხეობიდან – როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს ამის გაკეთებას. საქართველოს მთავრობამ საკმაოდ სწრაფად გამოყო აუცილებელი სახსრები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ახალი სახლებისა და დასახლებების ასაშენებლად. ეს დასახლებები საგრძნობლად ჯობდა იმ დროებით თავშესაფრებს, რაც დევნილებისათვის 90-იან წლებში იყო გამოყოფილი.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ ქება დაიმსახურა ზამთრამდე დევნილების ზამთრის პირობებისათვის ვარგის სახლებში დაბინავებისათვის, ახალი დასახლებების მშენებლობამ რიგი პრობლემები შექმნა. ახალ სახლებში ჩასახლების შემდეგ, რომლებსაც თან მიწის პატარა ნაკვეთი ახლდა, იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა უმეტესობა სოფლის მცხოვრებლები იყვნენ, ადაპტაციის პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ახალი დასახლებების დაჩქარებული მშენებლობის შედეგად საცხოვრებლის პრობლემა სწრაფად მოგვარდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამუშაოების წარმოების დროს არ იყო გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ გრძელვადიან ეკონომიკურ სტაბილურობასა და თვითკმარობას. ზოგი დასახლება გეოგრაფიულად მოშორებულ და იზოლირებულ ადგილებში იყო აშენებული, ეს კი იძულებით გადაადგილებულ პირებს სოციალურ სამსახურებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებამდე მიღწევაში უშლიდა ხელს. ცოტა ვინმე თუ ინტერესდებოდა თავად დევნილების აზრით ახალ დასახლებებზე.

ახალი დევნილებისათვის სერიოზული რესურსების ოპერატიულმა გამოყოფამ გარკვეული ბზარი გააჩინა „ახალ“ და „ძველ“ დევნილებს შორის. თითქმის 15 წლის განმავლობაში დევნილთა „პირველი“ ტალღის წარმომადგენლები საქართველოს მთავრობისგან გამუდმებით ცდილობდნენ დახმარების მიღებასა და დევნილთა საკითხებში თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებას. გასაკვირი არ არის, რომ მათ გარკვეული წყენა და იმედგაცრუება ეგრძნოთ, როცა მთავრობამ, ფაქტიურად დაუყოვნებლივ, გამოყო მნიშვნელოვანი სახსრები დევნილთა „ახალი“ ტალღის დასახმარებლად. ამავე დროს, ომის შედეგად გაჩნდა მთავრობაზე ზემოქმედების ახალი პოლიტიკური ტრიბუნა, რათა მას განეხორციელებინა დევნილთა „პირველი“ ტალღის დახმარების ღონისძიებები.

ახალ დასახლებებში იძულებით გადაადგილებული პირები ფაქტობრივად იზოლაციისა და სეგრეგაციის პირობებში აღმოჩნდნენ. ამან სერიოზულად შეზღუდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის შესაძლებლობები. ცხინვალის რეგიონიდან 2008 წელს გამოდევნილ მოსახლეობას, 1990–ან წლებში აფხაზეთიდან გამოდევნილებისგან განსხვავებით, თან არ მოჰყვა თავისი „ლეგიტიმური მთავრობა“. ბოლო წლებში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა სამხრეთ ოსეთის ქართულ რაიონებში, რომლებიც დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო სამოქალაქო ინსტიტუტების მშენებლობის პროგრამების მოქმედების სფეროს მიღმა რჩებოდნენ, მინიმალური ტემპებით მიდიოდა. პროექტის კოორდინატორების აზრით, სწორედ ამ მიზეზის გამო დევნილები განსაკუთრებით მოწყვლადები და დაუცველები არიან მათი დაშინებისა და გაკონტროლების მცდელობების წინაშე. არსებული მონაცემებით, ახალი ჩასახლებების მცხოვრებლები მკაცრი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან და ადგილი აქვს მათი სამომავლო გეგმების კორექტირებასაც კი.

> „ხაზინაში საგრძნობი სახსრების შემოდინებამ (საერთაშორისო დახმარების შედეგად) მთავრობას საშუალება მისცა, რომ დევნილების მიმართ გაეტარებინა პოლიტიკა, რომელიც უფრო მეტად იყო ფოკუსირებული სოციალურ და პოლიტიკურ კონტროლზე“ – პროექტის კოორდინატორი.

იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აშენებული წეროვანის ახალი დასახლება, რომელშიც 2200 სახლია. ფოტო გადაღებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი განყოფილების ფანჯრიდან.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დარჩენილი ქართული მოსახლეობის მიმართ, აგრეთვე სერიოზული შეშფოთების საბაბს იძლევა. მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალებების ცნობით ხელისუფლება შეფერხებებით აწვდის ხელფასებს დაბა ახალგორის მცხოვრებლებს და უთიშავს მათ ელექტროენერგიასა და წყალს. მედიისთვის მიცემულ ერთ–ერთ ინტერვიუში ახალგორელი პედაგოგი მიმართავდა საქართველოს მთავრობას თხოვნით არ დაეტოვებინათ დაბის მცხოვრებლები ხელფასის, წყლისა და ელექტროენერგიის გარეშე. მსგავსი ფაქტები შეიძლება განხილული იქნას, როგორც ცხინვალის რეგიონში დარჩენის მსურველ ქართულ მოსახლეობაზე ზემოქმედების მცდელობა, რათა მათ მიატოვონ საკუთარი სახლები და ამით კიდევ უფრო დამძიმდეს დე–ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის მიერ ქართველების მიმართ მიზანმიმართულად განხორციელებული ეთნიკური წმენდის სურათი. ასეთი ინფორმაციების არსებობა მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობა ისევ დგას იძულებით გადაადგილებული პირებით მანიპულირების, და თუ მოყვანილი ფაქტები სიმართლეს შეესაბამება, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის იძულებითი გადაადგილების ხელშეწყობის ცდუნების წინაშე.

6.1 ომის ემოციური შედეგები და საპასუხო რეაქცია მათზე

ომის დასრულებიდან სულ ცოტა ხანში რუსეთმა ოფიციალურად ცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მის მაგალითს ნიკარაგუამაც მიბაძა. ამის მიუხედავად, რუსეთის მხარდაჭერამ და დამოუკიდებლობის აღიარებამ საგრძნობლად გაამყარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე–ფაქტო ხელისუფლების პოზიციები თბილისთან მოლაპარაკებების პროცესში. ბევრმა იძულებით გადაადგილებულმა პირმა, რომელიც 1990–ანი წლებიდან ცხოვრობდა დევნილობაში, ეს მოვლენები აღიქვა როგორც საბოლოო დადასტურება იმისა, რომ თვალმისაწვდომ მომავალში მათი სახლებში დაბრუნება, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდებოდა. პროექტის ერთ–ერთი კოორდინატორის თქმით „როგორც კი ნათელი გახდა, რომ ქართული ჯარები დამარცხდა, დევნილებმა შეწყვიტეს ინტეგრაციისათვის წინააღმდეგობის გაწევა და დაპირისპირება ინტეგრაციასა და დაბრუნებას შორის, ფაქტიურად გაქრა“.

დევნილების „ახალი“ ტალღის გამოჩენასთან ერთად, „ძველ“ დევნილებს მიეცათ საშუალება გაეზიარებინათ მათთვის თავისი გამოცდილება დევნილობის პირველი დღეების კრიზისისა და პრობლემების გამკლავების საქმეში. ასევე გაეწიათ რეკომენდაციები გრძელვადიან პერსპექტივაში

საკუთარი უფლებების დასაცავად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ. ასეთ ნაბიჯებს მიეკუთვნება არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების (მათ შორის ქსელის წევრი ორგანიზაციების) სპონტანური, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, მობილიზაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა კარტოთეკის შესაქმნელად. მაგალითად: მობილიზებული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები „ახალი“ ტალღის დევნილი ფეხმძიმე ქალების სიების შესადგენად ფეხმძიმობის ვადებისა და მოთხოვნილებების მითითებით, როგორც მოკლევადიანი, ასევე საშუალოვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით. ამის შემდეგ მიღებული იყო ზომები ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სასწრაფოდ შეიქმნა ახალი არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინიშნა პასუხისმგებელი პირები იძულებით გადაადგილებულ პირებთან კავშირისა და კოლექტიური ჩასახლების ცენტრებში სიტუაციის მონიტორინგის საწარმოებლად. დევნილებს აღმოუჩინეს მორალური მხარდაჭერა, ისინი აუცილებელ კონსულტაციებს ღებულობდნენ, ხოლო გადატანილზე მათი მონათხრობი შეგროვებული და ჩაწერილი იყო იმისათვის, რომ მომავალში შესაძლებელი ყოფილიყო მომხდარის დოკუმენტირება. ერთ–ერთმა კოორდინატორმა აღნიშნა: „არ იყო არანაირი პანიკა. „ძველმა“ დევნილებმა ყველაზე უკეთ იცოდნენ, თუ როგორ უნდა დახმარებოდნენ „ახალ“ იძულებით გადაადგილებულებს“.

ამავე დროს, პროექტის კოორდინატორები გარკვეულ წუხილს გამოთქვამდნენ იმასთან დაკავშირებით, შეძლებდა თუ არა ქსელი გამოეხატა იმათი თვალსაზრისი, ვინც ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ძალის გამოყენებას აგვისტოს მოვლენების დროს. თუმცა, იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის სხვადასხვა თვალსაზრისის მომხრეები იყვნენ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საზოგადოებაში სამშვიდობო მიდგომების მომხრეთა პოზიციები უფრო სუსტი აღმოჩნდა.

> „ჩვენ ხმას არ ვიღებდით, როცა ქართული ტანკები ცხინვალში შედიოდნენ, ჩვენ რეაგირება მხოლოდ რუსული აგრესიის დაწყებისას მოვახდინეთ. ჩვენ დავგმეთ ძალადობა, მაგრამ მხოლოდ ერთი მსხვერპლის, ქართული მოსახლეობის მიმართ. ჩვენ არ დავგმეთ თავად ძალადობა, როგორც ასეთი. ჩვენ არ გამოვედით პრობლემის გადაწყვეტის ძალისმიერი მეთოდების გამოყენების წინააღმდეგ. საზოგადოებაში იყო ასეთი განწყობა, რომ ჩვენ უნდა გავიღოთ გარკვეული მსხვერპლი საბოლოო გამარჯვებისათვის და იყო მოლოდინები, რომ ქართული მხარის გამარჯვების შემთხვევაში ძალისმიერი მეთოდების მოწინააღმდეგეების ქმედებები დაგმობილი იქნებოდა. ყველა თავს იტყუებდა, თითქოს კონფლიქტში მხოლოდ ერთი აგრესორი იყო“ – პროექტის კოორდინატორი

2008 წლის აგვისტოში შეიარაღებული კონფლიქტის განახლება და მასზე კოლექტიური რეაქცია საქართველოში კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების მოწინააღმდეგეთა, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის, პოზიციების აშკარა სისუსტის ნათელი

დევნილი მამაკაცი წეროვანის ახალ ჩასახლებაში

გარდაცვლილი ნათესავის ფოტო კოლექტიური ჩასახლების ცენტრის ფანჯარაზე.

დადასტურება იყო. ომმა აჩვენა, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის სამშვიდობო მიდგომებს ძალა არა აქვთ, თუ ისინი გადაწყვეტილების მიმღები ოფიციალური პირების მხარდაჭერით არ სარგებლობენ. ომის შედეგებმა ყველას დაანახვა, თუ რა რისკებთან და ფასთან არის დაკავშირებული ძალისმიერი მეთოდები. გამოჩნდა აგრეთვე, რომ კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გზებისადმი ერთგულების განცხადება ცარიელი დაპირება შეიძლება აღმოჩნდეს. და ბოლოს, ბევრისათვის ნათელი გახდა, რომ კონფლიქტის მოგვარება შეიძლება ასოცირდებოდეს არა მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნებასთან, არამედ სხვა მრავალ შესაძლებლობასა და კომპრომისთან.

ბოლო წლებში ადგილი ჰქონდა კარდინალურ ცვლილებებს: ადამიანთა ინდიფერენტული, პასიური და ადვილად მანიპულირებადი ჯგუფიდან იძულებით გადაადგილებული პირები–დევნილები გადაიქცნენ პოლიტიკურად აქტიურ და საქართველოს საზოგადოების ერთ–ერთ ყველაზე მობილიზებულ სოციალურ ფენად.

მთავარი გაკვეთილი მდგომარეობს იმაში, რომ მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებით გადაადგილებულ პირებს–დევნილებს გააჩნიათ საკმარისი პოტენციალი იმისათვის, რომ დაიკავონ ერთ–ერთი ცენტრალური ადგილი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ დრომდე ამ პოტენციალის გამოთავისუფლება ბევრად იყო დამოკიდებული ურთიერთობებზე იძულებით გადაადგილებულ პირებსა–დევნილებსა, სპეციალურად მათთვის შექმნილ „ლეგიტიმურ მთავრობასა“ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. იძულებით გადაადგილებული პირები დაუცველები იყვნენ ბოლო ორის მხრიდან მათი საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების მცდელობების წინაშე.
„ლეგიტიმური მთავრობა“ ცდილობდა დევნილთა ხმების მონოპოლიზებას, რათა სახელისუფლებო იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომთათვის ისინი წარმოედგინა როგორც ხმათა ერთიანი ბლოკი. ამავდროულად, ცენტრალური მთავრობა ცდილობდა იძულებით გადაადგილებული პირების ისე გამოყენებას, რომ მიეღო საარჩევნო დივიდენდები და უზრუნველეყო სამშვიდობო პროცესზე ზემოქმედების გარკვეული ბერკეტები.

მანიპულირების ამ სქემების ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენდა კატეგორიული მტკიცება იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს, საკუთარ სახლებში დაბრუნების გარდა, სხვა არჩევანი არა აქვთ. ამ მიდგომის ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს დაბრუნებასა და ინტეგრაციას შორის ანტაგონისტური წინააღმდეგობის აღიარებაში. ასეთი მიდგომის შედეგად ინტეგრაცია განიხილება როგორც დაბრუნების უფლების გაუქმება. ინტეგრაციის ნებისმიერ ფორმაზე უპირობო უარის თქმა დევნილებს, მათი სტატუსით გამოწვეული, სერიოზული სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის დაძლევის შესაძლებლობებს აკარგვინებს.

სამშვიდობო პროცესში პროგრესის არარსებობა, რომ არაფერი ვთქვათ საომარ მოქმედებებზე 2008წ. აგვისტოში, ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობას ჯერ–ჯერობით არ გააჩნია რეალური საშუალებები იძულებით გადაადგილებულ პითა–დევნილთა დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით ჩნდება სერიოზული ეთიკური კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლებულია დევნილების ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფად დარჩენისა და კოლექტიური აზროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა (ზოგჯერ იძულებაც კი)? თუმცა, პოლიტიკოსები, რომლებიც კარგად თამაშობენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე მეოცნებე ხალხის ეროვნულ და პატრიოტულ გრძნობებზე, ამ სტრატეგიას ყოველთვის თვლიდნენ, და დღემდე თვლიან, საარჩევნო დივიდენდების მიღების კარგ საშუალებად. ასეთი სტრატეგია გარდაუვალად ამკვიდრებს უთანასწორობას და ქმნის პირობებს დევნილების დისკრიმინაციისათვის, რომელთა ინტერესებშიც, ვითომდა, შედის ასეთი სტრატეგიის განხორციელება.

დევნილობის საწყის სტადიებში ადგილი აქვს სერიოზულ ზეწოლას, რათა მოხდეს ომამდელი პერიოდიდან შემორჩენილი სახელმწიფო სტრუქტურებისათვის პოლიტიკური სივრცის უზრუნველყოფა. ბევრი ამ სტრუქტურებს ომამდელი მთავრობის „ლეგიტიმურ“ გაგრძელებად და მემკვიდრედ მიჩნევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ უპირისპირებენ ჩამოშორებული ტერიტორიების დე–ფაქტო მთავრობებს. პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, „ლეგიტიმურმა მთავრობამ“ შეიძლება სრულად დაკარგოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტერესების წარმომადგენლობითი ფუნქცია. „ლეგიტიმური მთავრობის“ სტრუქტურებმა რეალურად მოახდინეს პოლიტიკურ ცხოვრებაში დევნილთა მონაწილეობის მონოპოლიზება თავად დევნილებში ალტერნატიული მიდგომებისა და სტრატეგიების ბლოკირების გზით.

„ლეგიტიმური მთავრობის“ არსებობის გასამართლებლად შეიძლება მოყვანილი იყოს მოსაზრება, რომ 1990–ანი წლების საქართველოს პრაქტიკულად სრული პოლიტიკური და სოციალური დაქვეითების პირობებში, მან მოახერხა პოლიტიკური წარმომადგენლობის გარკვეული მინიმუმისა, და, რაც იმ დროისათვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყო, დევნილების გარკვეული რესურსებით უზრუნველყოფა. ნათელია, რომ „ლეგიტინურმა მთავრობამ“ მალევე დაკარგა ეს ფუნქციები.

დროებითი, არასაბოლოო სტატუსის შემთხვევაში ინტეგრაცია ქმნის აუცილებელ ბაზას იმისათვის, რომ იძულებით გადაადგილებულმა პირებმა შეძლონ საკუთარი აქტუალური პრობლემების მოგვარება. ინტეგრაცია არ ნიშნავს ეთნიკური

წმენდის პოლიტიკის დადასტურებას. ეს ნიშნავს იმის აღიარებას, რომ იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დევნილობაში ცხოვრების პერიოდში საკუთარი სახლების დაკარგვის ძირეულ ტრავმას არ უნდა ემატებოდეს მათი უფლებების სისტემატური დარღვევებით გამოწვეული პრობლემები. საბოლოო ჯამში, იძულებით გადაადგილებულ პირებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თვითონ გადაწყვიტონ, თუ რა უნდა გააკეთონ მომავალში. ეს უფრო უსვამს ხაზს ისეთი პროექტების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რომლებიც მიმართულია დევნილების მიერ გააზრებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობისაკენ.

იძულებით გადაადგილებული პირების ინტეგრაცია და სპეციალურად მათი ინტერესების წარმომადგენლობისათვის შექმნილი სტრუქტურების დაშლა აუცილებლად გულისხმობს დევნილთა უშუალო მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს, უთუოდ, ხანგრძლივი პროცესია, რომელიც სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს როგორც არასამთავრობო სექტორის, ასევე ცენტრალური მთავრობის მხრიდან.

მთავრობები იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემების მოგვარების ფორმალური სტრატეგიების შექმნას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე მათ განხორციელებას. ასეთი სტარტეგიების ოფიციალური დამტკიცება თვითმიზანი არ უნდა გახდეს. აუცილებელია მთავრობისგან შესაბამისი სამოქმედო გეგმების შექმნისა და რეალიზაციის მოთხოვნა, რომელშიც დევნილთა აზრი იქნება გათვალისწინებული. ეს ღიად უნდა ხდებოდეს და მთავრობა თავის ქმედებებზე პასუხისმგებელი უნდა იყოს. ამ საქმეში საერთაშორისო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებს არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ მთავრობისათვის იმის მუდმივი შეხსენებით, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებების დაკმაყოფილება სწორედ მისი ძირითადი ამოცანაა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიტიკური მონაწილეობის შესაძლებლობის გაფართოებასთან ერთად მიღებული უნდა იყოს ზომები, რათა მათ მეტად შეძლონ კონფლიქტის მოგვარების გზების შესახებ არსებულ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება. საქართველოს მაგალითი აჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებული პირები არ წარმოადგენენ ერთგვაროვანი ადამიანების მასას, რომელიც კონფლიქტის მეორე მხარისადმი ერთიანად მტრულად და აგრესიულად არის განწყობილი. პირიქით, ისინი ხასიათდებიან აზრთა საკმაოდ ფართო სპექტრით და მათ შორის არიან ისეთებიც, ვინც შერიგებისათვის არის განწყობილი.

ამ პრინციპების ღიად გამოხატვამ და გატარებამ საბოლოოდ შეიძლება ბევრად მეტი სარგებლობა მოიტანოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ვიდრე დევნილებისგან აგრესიული მასის ხატის შექმნამ.

ამავე დროს, საქართველოს მაგალითმა აჩვენა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ გავლენის მოხდენის საკმაოდ შეზღუდული შესაძლებლობები. მართალია, მათ შეძლეს გავლენა მოეხდინათ მათი ძირითადი სოციალური პრობლემების მოგვარების პოლიტიკაზე, და მიაღწიეს კიდეც საკმაო ცვლილებებს ამ სფეროში, დევნილებმა (და მთლიანობაში არასამთავრობო სექტორმა) ვერ მოახერხა სერიოზული გავლენის მოხდენა კონფლიქტების მოგვარების ზოგად პოლიტიკაზე. საქართველოს შემთხვევაში ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განახლებამ 2008 წლის აგვისტოში დაამსხვრია მალე დაბრუნების იმედები, განსაკუთრებით მათთვის, ვინც დევნილობაში 1990–ანი წლებიდან ცხოვრობს. აგვისტოს ომის დროს სამხრეთ ოსეთში ქართული მოსახლეობის მიმართ ჩატარებული იყო მიზანმიმართული ეთნიკური წმენდა. ამან არსებითად დააზარალა ქართველებისა და ოსების არამყარი, თუმცა კი ფუნქციონალური თანაარსებობის პერსპექტივები.

საომარი მოქმედებების განახლებამ 2008 წლის აგვისტოში და დევნილთა ახალი ტალღის გამოჩენამ „ძველი“ დევნილების მეხსიერებაში გააცოცხლა 1990–ანი წლების ტრავმა. ამასთან ერთად, ომმა მოიტანა როგორც რაღაცის დასრულების განცდა, ასევე მიზნის განსხვავებული გაგება. ომმა გარკვეული გამომაფხიზლებელი როლი შეასრულა, დააკარგვინა რა სწრაფი დაბრუნების იმედი, მაგრამ ამავე დროს მათ მიეცათ დახმარების აღმოჩენის საშუალება მათთვის, ვისაც სულ ცოტა ხნის წინ მსგავსი განსაცდელის გადატანა მოუხდათ. „ძველი“ტალღის დევნილებმა შეძლეს დევნილთა პრობლემების მოგვარების საკითხებში მთავრობისათვის ავტორიტეტული რჩევების მიცემა, და საჭიროების შემთხვევაში კრიტიკული შენიშვნების გამოთქმაც ამ სფეროში.

მაგრამ ახალი შესაძლებლობები მიღწეული იქნა ახალი ომის ფასად, რომელშიც ასობით ადამიანი დაიღუპა და ათასობით საკუთარი სახლებიდან აღმოჩნდა განდევნილი. უფრო მეტიც, აგვისტოს მოვლენებმა ცხადყო, რომ ერთის მხრი,ვ სამშვიდობო ინიციატივებს არ ძალუძთ ომის შეჩერება, მაგრამ მეორეს მხრივ ომის შედეგები უსაფუძვლოს ხდის არგუმენტებს კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის თაობაზე. როგორც მშვიდობის მომხრეები, ასევე ომის აპოლოგეტები, ბევრ რამეზე უნდა დაფიქრდნენ. კონფლიქტების მოგვარების შესაძლო გზების განხილვის აუცილებლობა საქართველოსთვის ასე აქტუალური არასდროს ყოფილა.

ეს შედეგები, და სამშვიდობო პროცესის ზოგადი მდგომარეობა სამხრეთ კავკასიაში, მხოლოდ ხაზს

უსვამს იძულებითი გადაადგილების გრძელვადიან ხასიათს. ასეთია ის შეულამაზებელი რეალობა, რომელთანაც მთავრობებს მოუწევთ გამკლავება. ამავე დროს, მათ უნდა გაუძლონ იძულებით გადაადგილებული პირების და თავად დევნილობის თემის საარჩევნო ან სხვა, სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული, დივიდენდების მისაღებად გამოყენების ცთუნებას.

ინტეგრაციის პროცესისადმი გრძელვადიანი, თანდათანობითი მიდგომები, შევსებული იძულებით გადაადგილებულ პირებსა და მათ წამომადგენლებს შორის თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებით, დევნილთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნას შეუწყობს ხელს და გააფართოებს მათ მიერ კონფლიქტის მოგვარების პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობებს

მადლობა

„შერიგების რესურსები“ მადლობას უხდის ევროკომისიას იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული ჩვენი სამუშაოს შესასრულებლად სახსრების დიდსულოვნად გამოყოფისათვის. ჩვენ ასევე დიდ მადლობას ვუხდით მონაწილე ორგანიზაციების მთელ ქსელს, რომელმაც შესრულებული სამუშაოს შესახებ მოამზადა გამოკითხვის ანკეტები. ეს ანგარიში დაწერილია ლორენს ბროერსის მიერ, პროექტის კოორდნატორის, ნინო კალანდარიშვილის, აქტიური მონაწილეობით. ანგარიშის მომზადებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანეს პროექტის კოორდინატორებმა მარინა ელბაქიძემ და პაატა ზაქარეიშვილმა, არასამთავრობო ორგანიზაცის დირექტორმა იულია ხარაშვილმა და ადვოკატირების ჯგუფის წარმომადგენელმა მანანა დარჯანიამ.. „შერიგების რესურსების“ მხრიდან პროექტს კოორდინაციას უწევდნენ რეიჩელ ქლოგი, რონა მილერი და მირა ზოვაკარი. ფოტოები გადაიღო დათო მესხმა (გარდა იმისა, რომლებზეც არსებობს შესაბამისი მითითება).

ეს პუბლიკაცია განხორციელებული იყო ევროპის კავშირის მხარდაჭერით. ორგანიზაცია „შერიგების რესურსები“ მთლიანად არის პასუხისმგებელი პუბლიკაციის შინაარსზე. ევროპის კავშირის პოზიცია, სავალდებულო არ არის, რომ ემთხვეოდეს პუბლიკაციაში გამოთქმულ მოსაზრებებს.

„შერიგების რესურსები“ – “Conciliation Resources” (CR) – არასამთავრობო ოგრანიზაციაა, რომელსაც თხუთმეტზე მეტი წლის გამოცდილება აქვს საერთაშორისო დონეზე ძალადობრივი კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დარეგულირების სფეროში. ჩვენი პრაქტიკული და სტრატეგიული მუშაობა ეყრდნობა ინფორმაციას, რომელსაც ვღებულობთ იმ ქვეყნების ადამიანებისგან, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ომი, ან იმყოფებიან სამხედრო კონფლიქტის საფრთხის ქვეშ. ჩვენ ვმუშაობთ პარტნიორებთან კავკასიაში, კოლუმბიაში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ფიჯიში, გვინეაში, ინდოეთში, ლიბერიაში, პაკისტანში, ფილიპინებში, სიერა–ლეონეში, სამხრეთ სუდანსა და უგანდაში. ჩვენ გამოვცემთ ჟურნალ „აკორდს“, რომელიც ახორციელებს სამშვიდობო ინიციატივების საერთაშორისო განხილვებსა და სამშვიდობო სამთავრობო სტრატეგიებზე გავლენის საშუალებების ძიებას. ჩვენ დაფინანსებას ვიღებთ საგრანტო სისტემის საშუალებით სხვადასხვა მთავრობებისაგან, მრავალმხრივი ორგანიზაციებისაგან, დამოუკიდებელი ფონდებისა და საქველმოქმედო ორგანიზაციებისაგან. „შერიგების რესურსები“ დარეგისტრირებულია დიდ ბრიტანეთში, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია (№1055436).

conciliation resources

Conciliation Resources
173 Upper Street
London N1 1RG
United Kingdom

ტელეფონი: +44 (0)20 7359 7728
ფაქსი: +44 (0)20 7359 4081
Email: cr@c-r.org
ვებ–გვერდი: www.c-r.org